

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ე. რემი
ექიმი - ჰომეოპათი

ჰომეოპათიის ანბანი
მესუთე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა

1973 წელი

“შტაუფენ - ფარმა გოპინგენ“
მეცნიერების განყოფილება

წინასიტყვაობა

როდესაც სახალხო უნივერსიტეტსა და ჰომეოპათიურ საზოგადოებებში პაციენტებთან და ექიმებთან ვკითხულობდი ლექციებს, აუდიტორია ხშირად მთხოვდა დამწეებთათვის შემედგინა ჰომეოპათიის რაიმე უბრალო და გასაგები სახელმძღვანელო. ამ მეთოდით დაინტერესებული ექიმები წუხილს გამოთქვამდნენ ასეთი სახელმძღვანელოს არარსებობის გამო. ანბანი, როგორც ცნობილია, წიგნია, რომლითაც იწყებენ კითხვას. ამიტომ ამ წიგნს “ჰომეოპათიის ანბანი“ ვუწოდეთ, ხოლო მას კი, ვინც უკვე აითვისა ეს ანბანი, შეუძლია წაიკითხოს უფრო რთული წიგნები.

ამ სახელმძღვანელოში სამკურნალო საშუალებები აღწერილია ანბანის მიხედვით. თითოეულ მათგანს, თუ გამოვიყენებთ დროულად და აზრიანად, აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. ვიმეორებ: სამკურნალო საშუალებათა ეს აღწერა განკუთვნილია დამწეებთათვის. ვფიქრობ, შეცდომები არ არის დაშვებული. წინასწარ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ზოგიერთი მათგანი გამოვიდა გაწელილი, მაგრამ ეს გაკეთდა იმ მიზნით, რათა დაგხმარებოდი დამწეებს შეექმნა წარმოსახვაში ჰომეოპათიური წამლის ნათელი, დასამახსოვრებელი სურათი. ისევე როგორც ცხვრის ფარა ჩვეულებრივ ადამიანს აღიქვამს როგორც ერთნაირი ცხვრების ერთობლიობას, ხოლო მწყემსი იოლად ანსხვავებს ამ ფარაში თითოეულ ცხვარს, ასევე სწავლება ჰომეოპათიურ საშუალებებზე წარმოუდგება დამწეებს ასეთივე ერთფეროვან მასად: ყველა ჰომეოპათიური საშუალება ეჩვენება იმდენად მსგავსად, რომ ერთმანეთისაგან ვერ არჩევს.

მხოლოდ თანდათანობით, დროთა განმავლობაში შესძლებს ჰომეოპათი გამოარჩიოს ისინი საერთო მასიდან, მოიშველიებს რა წამლის ზოგიერთ დამახასიათებელ თვისებას.

მე მინდა დავეხმარო მკითხველს გახდეს ისეთი მწყემსი, რომელიც იცნობს თავის ცხვრებს და იცის თითოეულის ხასიათი. ამას რომ მივადწიოთ, ამისათვის საჭიროა არა მარტო ჩემი, არამედ მკითხველის გულისხმევა. იმედი მაქვს, რომ გამოვნახავთ საერთო ენას.

ჰომეოპათიის ადგილი მედიცინაში

ჰომეოპათია მედიცინის ნაწილია. ჰომეოპათით შესაძლებელია მრავალი მწვავე და ქრონიკული დაავადების მკურნალობა, ე.ი. თერაპია, სულ არსებობს მკურნალობის ხუთი მეთოდი:

1. ქირურგიული მკურნალობა (ე.ი. მექანიკური ზემოქმედება დაავადებაზე)..
2. ნატურალური თერაპია – მკურნალობა ჰაერით, სინათლით (ფოტოთერაპია), წყლით (ჰიდროთერაპია), არომატებით (არომათერაპია) და მზით, ე.ი. ბუნებრივი გამაღიზიანებლებით, რომლებიც წარმოადგენენ ნატურალური თერაპიის საფუძველს. ეფექტი მიიღწევა გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე მოქმედების შედეგად.
3. დიეტა. მისი საშუალებით ეფექტი მიიღწევა ნივთიერებათა ცვლაზე ზემოქმედების შედეგად.
4. სულიერი ზემოქმედება.
5. მედიკამენტოზური მკურნალობა.

მკურნალობის ეს გზები გამოიყენება ცალ-ცალკე ან ერთმანეთთან შერწყმულად. მათი არჩევანი განპირობებულია, ერთის მხრივ, ავადმყოფობის, ხოლო მეორეს მხრივ – ექიმის პიროვნებასა და მის ოსტატობაზე.

ერთი შეხედვით, ჰომეოპათია შეიძლება მივიჩნიოთ მეხუთე პუნქტში აღნიშნული მედიკამენტოზური მკურნალობის მეთოდის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილად, მაგრამ თუ თერაპიას განვიხილავთ არა მხოლოდ როგორც მკურნალობას, არამედ როგორც დაავადებისაგან სრულ განკურნებას, მაშინ აღმოჩნდება, რომ მედიკამენტოზური მკურნალობით მიღწეული შედეგების უმრავლესობა მიღწეულია სწორედ ჰომეოპათიური მეთოდით.

ჰომეოპათია - ეს არაა საშუალება ყველა ავადმყოფობისათვის. თუ ავადმყოფს აქვს ძვლის მოტეხილობა, ჰომეოპათი აუცილებლად გაგზავნის მას ქირურგთან, თუ თვალში უცხო სხეული აქვს - ოკულისტთან. ჩვეულებრივი ექიმისაგან ჰომეოპათი იმით განსხვავდება, რომ ქირურგისა და ოკულისტის ქმედებას ამატებს თავის საშუალებებს, ისეთებს, როგორც გამოიყენება ტრამვის დროს რათა დააჩქაროს აღდგენითი პროცესები დაზიანებულ ქსოვილებში. (შემპყვტუმ, რნიცა, შილიცვა და სხვ). თუ საჭირო იქნება, ჰომეოპათი დამატებით გამოიყენებს სხვა ბუნებრივ გამაღიზიანებლებსაც (წყალი, ჰაერი, მზე) და დიეტას. ჰანემანი ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დიეტას, რომ მოშურნენი მისი თერაპიის წარმატებას მხოლოდ დიეტას მიაწერდნენ.

და ბოლოს, ყველა გონიერი ექიმი მკურნალობისას აუცილებლად იყენებს სულიერ ზემოქმედებას, ჩაუსახავს რა ავადმყოფს განკურნების იმედს. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს თავად ექიმის პიროვნულ და ადამიანურ თვისებებს. მიუხედავად იმისა, რომ ჰომეოპათია მეხუთე პუნქტს - მედიკამენტოზურ მკურნალობას განეკუთვნება, ჰომეოპათიასა და კლასიკური თერაპიის სხვა მეთოდებს შორის არსებობს მთელი რიგი არსებითი განსხვავებანი. ჰომეოპათია ხელმძღვანელობს შემდეგი წესით: “შიმილია შიმილიბუს ცურანტურ,, ე.ი. “მსგავსი იკურნება მსგავსით“, ხოლო კლასიკური – თანამედროვე მედიცინა მოქმედებს პრინციპით – “მსგავსი იკურნება საპირისპიროთი“. ყველა ჰომეოპათიური საშუალება არაერთგზის შემოწმებულია.

ჰომეოპათიური პრეპარატების გამოცდა ხდება ჯანმრთელ ადამიანებზე და გამოცდის პროცესში ხდება წარმოქმნილი სიმპტომების აღწერა. და მხოლოდ ამის მერე გამოიყენება ეს ახალი პრეპარატი უკვე აღწერილი (მსგავსი) სიმპტომებით მოსულ ავადმყოფში. ყოველი ახალი ჰომეოპათიური წამლის გამოცდა ხდება ჯანმრთელი ადამიანების ჯგუფზე. მაგ. თუ გამოსაცდელების დიდ რაოდენობას რაიმე (მათთვის უცნობი) წამლისმიერი საშუალების მიღების შემდეგ აღენიშნებათ მშრალი სიცხის შეგრძნება, რომელსაც თან ახლავს სხეულის მოუსვენრობა და სულის აფორიაქება (ასეთი ცვლილებების გამოწვევა შეუძლია, მაგალითად, აკონიტს) -ე.ი. აკონიტი მსგავსების კანონის მიხედვით კურნავს იმ დაავადებებს, რომელთა დროსაც აწუხებთ მშრალი სიცხის შეგრძნება, სხეულის მოუსვენრობა და აფორიაქება.

ცდები ცხოველებზე, რომელთაც საუნივერსიტეტო მედიცინა ანიჭებს ასეთ დიდ მნიშვნელობას, ჰომეოპათიისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ სამკურნალო ნივთიერებათა შერჩევა პაციენტებისათვის მეტწილად ხდება სულიერი სიმპტომებით, ხოლო ცხოველებზე ცდებისას ასეთი სიმპტომების გამოყოფა შეუძლებელია. კიდევ ერთი განსხვავება, რომელიც ბოლო ხანებში უფრო და უფრო ნაკლებ შესამჩნევი ხდება მდგომარეობს შემდეგში: ჰომეოპათია იყენებს „ძლიერ განზავებულ“ საშუალებებს. შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს საშუალებანი არა მხოლოდ განზავებულნი არიან, არამედ სხვანაირად მომზადებულნიც. ვიბრაციის, ნჯდრევის და სრესვის მეშვეობით, (რომლებიც დღესაც შეადგენს ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებების მომზადების წესს), მათში თავისუფლდება “ძალები“, რომელთა გამონთავისუფლება მხოლოდ უბრალო „განზავებით“ შეუძლებელია.

ქიმიური, მატერიალური საშუალებანი მოქმედებენ ადამიანის ორგანიზმის ქიმიურ, მატერიალურ ნაწილზე, მის სხეულზე. ის საშუალებანი კი, რომელთაც დაკარგეს თავიანთი მატერიალური ხასიათი (ნებისმიერ ჰომეოპათიურ წამალს რ დოზიდან, პრაქტიკულად დაკარგული აქვს მატერიალური სუბსტანცია, შენარჩუნებული აქვს მხოლოდ ძალა), ზემოქმედებენ ორგანიზმის არა მატერიალურ ნაწილზე, სულზე, იმ ძალებზე, რომლებიც მართავენ მის სხეულსა და ნერვებს. ვინაიდან საუნივერსიტეტო მეცნიერება ძირითადად იკვლევს მატერიას, ჰომეოპათიას დღემდე არა აქვს მეცნიერული დასაბუთება. თუმცა, დიდი დრო არაა დარჩენილი იმ დრომდე, როდესაც ამ საქმეში მოხდება ძირეული შემობრუნება.

ჰომეოპათიას ხშირად საყვედურობენ, რომ ის, ვითომდა კურნავს მხოლოდ სიმპტომებს. რა თქმა უნდა, ჩვენ სუბიექტურ სიმპტომებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, მაგრამ ისინი გვჭირდება როგორც ორიენტირი, რათა ავადმყოფს სწორად შეერჩეს ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალება.

ჰომეოპათია მკურნალობს ავადმყოფს და არა დაავადებას, ან სიმპტომს. მკაფიო გამოსატულ „წამყვან“ სიმპტომს შეიძლება ჰქონდეს გარკვეული მნიშვნელობა ამა თუ იმ სამკურნალო ნივთიერების შერჩევის დროს. მაგალითად, თუ ავადმყოფს სიმპტომები უძლიერდება ღამით, ეს ნიშნავს რომ სავარაუდოა მას ყველაზე მეტად მოუხდეს აცჰესის, იმის მიუხედავად, თუ რა ავადმყოფობა აწუხებს მას. თუ უფრო ზუსტი ვიქნებით, სიმპტომთა ერთობლიობა გვაძლევს საშუალებას სწორად გამოვიცნოთ ავადმყოფობის ნიშან-თვისება, და არა თვით ავადმყოფობა, რომელზეც ჰანემანი ამბობდა, რომ ბოლომდე მისი შეცნობა შეუძლებელია.

უნივერსიტეტებში ჰომეოპათიას ასწავლიან ისევე იშვიათად, როგორც ფიტოთერაპიას, მინერალთერაპიას ან აკუპუნქტურას. ის ჯერ კიდევ იმყოფება ოპოზიციაში, მაგრამ თუ ყურადღებით მივაღებებთ თვალს ბოლო წლების სამეცნიერო ცხოვრებას, შევამჩნევთ ჰომეოპათიური მიდგომის შეღწევას საუნივერსიტეტო მედიცინაშიც.

ჰომეოპათიური საშუალებანი აღებულნი არიან ფლორიდან, ფაუნდანი და მინერალური სამყაროდან. წამლების მოსამზადებლად უკეთესია ვიხმაროთ ველურად მზარდი მცენარეები, ვინაიდან მათი სამკურნალო პოტენციალი, უფრო მაღალია. ტილჭირი (აკონიტი) იზრდება მთებში, თოვლთან ახლოს და არსებობის ეს უჩვეულო პირობები აძლევს მას ძლიერ სამკურნალო ძალას. ასევეა მინერალებშიც - ბუნებრივ მინერალებს მეტი სამკურნალო თვისებები აქვთ, ვიდრე სინთეზურად მიღებულ ქიმიურ ნაერთებს, რადგან ერთ მინერალში ხშირად გვხვდება სხვა ელემენტების კვალიც. აქ წამყვანი მნიშვნელობა, როგორც ჩანს, ენიჭება ელემენტების ბუნებრივ, ჰარმონიულ შერწყმას.

კონსტიტუციური საშუალებანი

კონსტიტუცია წარმოადგენს ადამიანის ინდივიდუალური, მისთვის დამახასიათებელ, ყველაზე მეტად გამორჩეული სხეულისა და სულისმიერი თვისებების ჯამს. კონსტიტუცია ითვალისწინებს ადამიანის აღნაგობას, სიმაღლეს, სისრულეს, თმისა და კანის ფერს, ტემპერამენტს ე.ი. მთლიანად პიროვნებას.

რომ გავარკვიოთ, თუ როგორ უნდა დაინიშნოს კონსტიტუციური პრეპარატი, მოვიყვან ერთ მაგალითს. ჩვენთან მოვიდა ავადმყოფი ქრონიკული სახსროვანი რევმატიზმის იოლი ფორმით, ავადმყოფობდა რამდენიმე წლის განმავლობაში.

მას რამდენიმე სახსარი ჰქონდა შემუშავებული, აღენიშნებოდა მცირე რიგიდობაც. საერთოდ სახსრების სამკურნალოდ ნიშნავენ ციდუმ ბენზოიც., ჩალციუმ ცარბ., ჩოლცპიცუმ ან სხვა მათდაგვარ საშუალებებს. მაგრამ გარდა ამ ჩივილებისა, ეს ქალი გამოირჩეოდა სიგამხდრით, კანის უსუფთაობით, სხეულზე უსიამო სუნით. ამ თვისებებების გამო გამოვუწერე წამალი, რომელიც შეესაბამებოდა მის კონსტიტუციას: შულფურ 30 7 წვეთი 8 დღის განმავლობაში, დილაობით. მკურნალობის შემდეგ სახსრებში ტკივილი არ განმეორებულა დიდი ხნის განმავლობაში.

ჩვენს მიერ გამოყენებული შულფურ (გოგირდი), ჰომეოპათიაში გამოიყენება საკმაოდ ხშირად. შულფურ - ის ტიპის ავადმყოფის სხეულზე ყველა ლორწოვანი გაღიზიანებული აქვს და წითელი ფერისაა. კანი ერთი შეხედვით ჭუჭყიანი ჩანს, აქვს გამონაყარებისადმი მიდრეკილება. აწუხებს ქავილი, ქავილის შემდეგ კი - წვა, განსაკუთრებით საწოლში. ტერფები უხურს, იმდენად, რომ ავადმყოფი მათ საბნის გარეთ ჰყოფს. ხელები აქვს ცხელი, ამიტომ ცდილობს ხელი ზეწრის ცივ ნაწილს დაადოს. „სიცხის“ შეგრძნება თავში, გამოყვლევა ბავშვებში, ინტერტრიგო, ოფლიანობა, ხორციანი საკვების მიმართ ზიზღი.

ავადმყოფი სვამს ბევრს, ჭამს ცოტას. ეშინია ბანაობის. ვერტიკალურ მდგომარეობაში ზოგადი მდგომარეობა უარესდება. დაახლოებით დილის 11სთ-ზე ხშირად უჩნდება შიმშილის გრძნობა, მან აუცილებლად უნდა შეჭამოს რაიმე, თორემ შეიძლება შიმშილისაგან წაიქცეს კიდევ. ამის მიზეზია - სისხლში შაქრის დონის მნიშვნელოვანი დაწვეა. დილაობით ხშირად აღვიძებს დიარეა და აიძულებს ლოგინიდან ადგომას. საერთოდ, „სულფურულ“ კონსტიტუციას აღვწერდი შემდეგნაირად: ესაა გამხდარი, მოშვებული ადამიანი ჭუჭყიანი შესახედაობის კანით, სხეულის უსიამო სუნით. ხასიათით ცოცხალი, ნევროზული, სულსწრაფი. არ უყვარს მუშაობა, ხშირად — სწავლაც. დიდად არაფრით ინტერესდება, არის იპოქონდრიკი. თმები აქვს უხეში, ქუთუთოები — მოწითალო, ყურები - წითელი, უყვარს ფილოსოფოსობა. იმდენად მხურვალეა, რომ ზამთრობით იოლად გადის გარეთ პალტოს გარეშეც.

ახლა შევეცდებით რამდენიმე სიტყვით დავხატოთ კონსტიტუციის სხვა ტიპები და გამოვყოთ ამ კონსტიტუციისათვის დამახასიათებელი თვისებები:

Sepia - სიცოცხლის მოყვარული, ქსანტიპა კლიმაქტერულ ასაკში, სახეზე მოყვითალო ლაქებით.

Pulsatilla – სხეულითა და სულით დამყოლი ქალწული, მტირალა, რომელიც აგვიანებს ყველგან და მათ შორის ცხოვრებაშიც.

Platina – ქედმაღალი ქალი, მკვეთრად გამოხატული ეგოისტური თვისებებით და საშოს ქავილით.

Calc.carb.- ინერტული ბავშვი ცივი კანით და ფაშარი (ჰიდროფილური) ქსოვილებით, რაქიტისადმი მიდრეკილებით, რომელსაც მუდამ სველი აქვს ბალიში თავის ძლიერი ოფლიანობის გამო.

კონსტიტუციური ტიპებისათვის დამახასიათებელია გარკვეული თავისებურებებისადმი მიდრეკილება: Sulfur – ტიპი ხშირად იტანჯება ქავანა გამოწყარით. Graphit – სველი ეგზემით, განსაკუთრებით ყურებს უკან. Sepia-ს ხშირად აქვს საშვილოსნოს გადახრა, Pulsatilla – სთვის დამახასიათებელია მენსტრუაციის დაგვიანება და მისი სიმცირე. საერთოდ კი იქმნება შთაბეჭდილება, რომ დაავადება წარმოადგენს მოცემული ტიპის ხასიათის განუყოფელ ნაწილს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი სიმპტომოკომპლექსის არსებობა ქმნის ჰომეოპათიურ ნივთიერებათა გარკვეულ ნაკრებს. ავადმყოფს ენიშნება რა კონსტიტუციით ნაკარნახევი საშუალება, ამით ჩვენ ვიჭრებით მის პიროვნებაში და ამის შედეგად ვახდენთ ზემოქმედებას დაავადებებზე.

კიდევ ერთი დამახასიათებელი პორტრეტი:

წარმოიდგინეთ მოწითალო სახის ფერის ყასაბი. მოკლე სქელი კისრით, ჩამრგვალებული სხეულით. უჩივის გულს, მკერდში მოჭერის შეგრძნებას და რაღაც შიშს, რომელიც „ზის“ გულის არეში. წნევა მომატებული აქვს, გააჩნია მიდრეკილება ინსულტისადმი და აორტის გაფართოებისადმი, ღამით სტკივა ძვლები. ზოგჯერ შეიგრძნობა სუნი პირიდან და ცხვირიდან. ეს Aurum – ტიპია. ასეთ ადამიანს ბევრი დაავადების მკურნალობაში კარგად დაეხმარება მისი კონსტიტუციური საშუალება - Aurum (ოქრო).

ახლა წარმოვიდგინოთ სავსებით განსხვავებული წყობის ადამიანი – გამხდარი ჩინოვნიკი, რომელიც მისდევს მჯდომარე ცხოვრებას. დილიდანვე მოდუნებულია, სამაგიეროდ საღამოს მხნედაა. უყვარს მბრძანებლობა, ვერ იტანს შეპასუხებას. ის ტიპიური ოჯახის ტირანია, არის ძალიან უხეში, ბრაზობს ნებისმიერი წვრილმანის გამო. აწუხებს კუჭის შეკრულობა, განიცდის რა ხშირ და უშედეგო ჭინთვას. აწუხებს ჰემოროიდ. მიუხედავად თავისი ფეთქებადი ხასიათისა, მშიშარაა, განსაკუთრებით ხელმძღვანელობის წინაშე. ჭამის შემდეგ ხშირად სტკივა კუჭი. საერთოდ, მისი ჩივილები ძლიერდება ჭამის შემდეგ, დილაობით და სიბრაზის დროს. ეს ადამიანი უხ ვომიცა ტიპია.

ერთხელ მიმიწვიეს ერთ სარკინიგზო ჩინოვნიკთან, რომელსაც უკვე მრავალი წელია აწუხებდა იშიაზი, რის გამოც თვენახევარი გაატარა საწოლში. მე მას გამოვუწერე Rhus tox., Gnaphalium, Mercur., მაგრამ უშედეგოდ. როდესაც მოვინახულე, მან ცოლს დაუყვირა: რას უდგეხარ ქალო, მოუტანე ექიმს წყალიო. ეს ჟღერდა ძალიან უხეშად, რაღაცნაირი მეოჯახე ტონით. მე გამოვუწერე უხ ვომიცა. იგი სამი დღის შემდეგ გამოჯანმრთელდა.

რომ დავასრულოთ Nux vomica, უნდა გავითვალისწინოთ კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი სიმპტომი: ავადმყოფის მდგომარეობა უარესდება დილით, გონებრივი დატვირთვისას და საკვების მიღების შემდეგ, ცივ ჰაერზე. საკვების მიღებიდან ერთი საათის განმავლობაში აქვს კუჭში სიმძიმის შეგრძნება.

ბოროტად იყენებს ალკოჰოლს, თამბაქოს და ყავას. ამრიგად, Nux vomica შესანიშნავი საშუალებაა ნაბახუსევის სინდრომისათვის. კარგს შედეგს იძლევა ასევე ბავშვებში პილოსპაზმის დროს.

პოტენცირება

ჰომეოპათიის საფუძველს წარმოადგენს ჰომეოპათიური სამკურნალწამლო ნივთიერებები, რომლებიც მიღებულია სრესვით ან ვიბრაციით.

ასე მაგალითად, არნიკას საწყისი ნაყენი „განზავდება“ სპირტით თანაფარდობით 1:10. შემდეგ საჭიროა კარგად შენჯღრევა. ამრიგად, ან უკეთესია ითქვას, ეს პოტენცია აღინიშნება როგორც 1. თუ ავიღებთ 1 - დან 1/10 წილს, დავამატებთ მას 9/10 წილ სპირტს და კარგად შევანჯღრევთ, მიიღება 2 პოტენცია. მყარი ნივთიერებანი გაისრისებიან რძის შაქართან თანაფარდობით 1:10, ქმნიან რა ამგვარი სახით პირველი რიგის პოტენციას. ამგვარად, 1 პოტენცია შეიცავს სააწყისი ნივთიერების 1:10-ს. 2 – 1:100-ს, 3 – 1:1000-ს, და ა.შ. მზა ჰომეოპათიური საშუალებანი ჩვეულებრივ გაიცემიან გრძნეულების (ბურთულების, აბების და ამპულების) სახით.

ამა თუ იმ პოტენციის დანიშვნა დამოკიდებულია საწყის სამკურნალ ნივთიერებებზე, პაციენტსა და მის დაავადებებზე. აგრეთვე ექიმის დამოკიდებულებაზე მაღალი და დაბალი პოტენციების მიმართ. ჰომეოპათიის ოქროს წესია: არ ხარ დარწმუნებული დანიშნე 6.

ქრონიკული დაავადებების დროს ჩვეულებრივ ნიშნავენ მაღალ პოტენციას. ხშირად აღმოჩნდება, რომ პოტენცია 30 ან 200 გვაძლევს ბრწყინვალე შედეგს. მას, კორფის მსგავსად თვლის რომ „ეს არ შეიძლება მოხდეს იმიტომ, რომ არ შეიძლება მოხდეს არასდროს,“ უარი უნდა იქნას მაღალი პოტენციის გამოყენებაზე. მას დანიშნავს გამოცდილი ექიმი.

კვება

როგორ უნდა იკვებებოდეს ავადმყოფი? ჩემს პრაქტიკაში გამოცდილი იქნა ერთი დიეტა, რომელიც მოგვაწოდა დოქტორმა ლოსენდორფუ -მა. შემდეგ ამ დიეტაში შევიტანე დამატებები. ის გამოსადეგია ყველა მძიმე ავადმყოფისათვის, თუ რასაკვირველია, ავადმყოფს არა აქვს დანიშნული რაიმე განსაკუთრებული (მაგალითად, უმარილო) დიეტა. ჩვენი დიეტის უპირატესობა მდგომარეობს მასში, რომ ის წარმატებით შეუძლიათ გამოიყენონ ჯანმრთელმა ადამიანებმაც.

1. საკვების მიღებათა შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 სთ. (ბავშვებში შეიძლება

4,5 სთ.).

2. საკვები უნდა მივიღოთ არა უმეტეს 3-ჯერ. შუალედში არაფერი არ უნდა ჭამოთ! ხილი

უნდა მიირთვათ საკვების მიღების წინ, და არა ბოლოს. 15სთ-ს შემდეგ ხილი საერთოდ

არ უნდა ჭამოთ.

3. უნდა ჭამოთ რაც შეიძლება ნელა. ნუ იჩქარებთ. გულმოდგინედ დაღეჭეთ საკვები,

უხვად დაასველეთ ნერწყვით. ღეჭეთ მანამ, სანამ საკვები არ გადაიქცევა რბილ ფაფად,

და მხოლოდ მაშინ გადაყლაპეთ.

4. ვახშამი მიირთვიეთ დაძინებამდე 2 1/4 საათით ადრე. ვახშამი უნდა იყოს მოკრძალებული.

5. იკრძალება თეთრი ფქვილისაგან გამომცხვარი პური-ფუნთუშეულის მიღება.

6. იკრძალება შოკოლადი, კაკაო, ტკბილეულობაც.

7. ნატურალური ყავა და მაგაარი ჩაი - მხოლოდ ექიმის ნებართვით.

8. იკრძალება სპირტიანი სასმელები. საგანგებო შემთხვევებში მათი მიღება დასაშვებია

მხოლოდ ექიმის ნებართვით.

9. ხორცი, ფრინველი დასაშვებია გამოიყენოთ საკვებად მხოლოდ მცირე რაოდენობით და

ისიც დიდი რაოდენობის კარტოფილთან და ხილთან ერთად. კვერცხი საკვებად

გამოიყენეთ იშვიათად.

10. თამბაქოს მოწევა აბსოლუტურად აკრძალულია.

11. მიირთვით რაც შეიძლება მეტი ხილ-ბოსტნეული, განსაკუთრებით წითელი ფერის, მაგრამ მხოლოდ დღის პირველ ნახევარში, სადილამდე. მიაქციეთ ყურადღება, რომ მათ არ განიცადონ ქიმიური დამუშავება. პური სასურველია ჭამოთ მსხვილად დაფქვილი ხორბლისაგან გამომცხვარი. რძის ნაცვლად დალიეთ არაჟანი, იოგურტი ან შრატი. ძალზე სასარგებლოა თაფლი. ნუ გამოიყენებთ თეთრ შაქარს, ჯობია ლერწმის. ნუ გამოიყენებთ კონსერვებს. რეკომენდირებულია მეტი რაოდენობით მუავე კომბოსტო, ხაჭო.

12. ყველაზე სუსტი კუჭიც კი გადაამუშავებს მსხვილად დაფქვილი ხორბლისაგან გამომცხვარ პურს, ხილს, ბოსტნეულს, რძემუავე პროდუქტებს, თუ კი თქვენ გუღმოდგინედ დაღეჭავთ და დაიცავთ ჭამათა შორის 5სთ-იან შუალედს, ამასთანავე თუ თქვენ საკვების ძირითად ნაწილს მიიღებთ დილით და შუადღეს, და არა საღამოს.

როგორ მივიღოთ

ჰომეოპათიური საშუალებები არ შეიძლება მივიღოთ ჭამის დროს. უკეთესია ისინი მივიღოთ მშვიდ კუჭზე დილით ან ძილის წინ. შეიძლება მიღება დღის განმავლობაშიც 0,5 საათით ადრე ჭამამდე, ან ჭამის შემდეგ 1 საათში. ძილისწინ დანიშნული წამლების მიღება ყველაზე ბოლოს, ვახშმის შემდეგ 1-2 ან მეტ საათში. ბურთულები უნდა დაიდოთ ენაზე ან ენის ქვეშ და წუწნოთ, წვეთები მიიღება ცოტა წყალთან ერთად (3-5 მლ) პლასტმასის კოვზზე ან პატარა ჭიქით (რკინის კოვზზე ნუ მიიღებთ). მწვავე შემთხვევებში შეიძლება ენაზე დაწვეთებაც (2-4 წვე).

ჰომეოპათიური წამლები ინახება მოშორებით მზის სხივებიდან, დასხივებიდან (ტელევიზორიდან). ბურთულები – მშრალ ადგილას. მათ აგრეთვე არ უხდებათ მძაფრი სუნები.

ჰომეოპათიურ წამლებთან ერთად არ შეიძლება ალკოჰოლური სასმელების და ყავის მიღება.

ჰომეოპათიური მკურნალობის დროს ექიმთან შეთანხმების გარეშე ნუ მოხსნით საგულე და წნევის დამწვე მელიკამენტებს.

ჰომეოპათია ბავშვთა ასაკში

დამტკიცებულია, რომ ზოგიერთი ჰომეოპათიური საშუალება გამოსადეგია მხოლოდ ბავშვთა ასაკში ისინი მათზე ზემოქმედებენ ეფექტურად.

ქვემოთ ჩამოთვლილია ბავშვთა ასაკში უკვე გამოცდილი ჰომეოპათიური საშუალებები და მოცემულია მათი მოკლე დახასიათება.

Acidum phosphoricum - ბავშვი ყველაფრის მიმართ გულგრილია, არაფერს ითხოვს.

Aethusa - ბავშვი ჭამის დამთავრებისთანავე ადებინებს რძეს სრულიად.

Alumina- შეკრულობა ბავშვებში (Magn. Phosph.) „მოსუცის სახე“. მშრალი კატარი, ძლიერი სისუსტე.

Arsenicum - ბავშვი მალე წყვეტს წოვას (სისუსტისაგან).

Barium carbonicum - ბავშვი გონებრივად განუვითარებელია. კუნთები სუსტი, არა აქვს თამაშის ხალისი.

Borax - ბავშვი ტირის მოშარდვისას (Lycopodium). პირიდან შეიგრძნობა სუნის. წინ დახრისას და ქვევით დაშვებისას – თავბრუსხვევა.

Chamomilla - ნევროზული და ადვილად აგზნებადი ბავშვი. ტირის უმიზეზოდ. ვერ იტანს ტკივილს.

Cina - ბავშვი ჭირვეულია. არ სურს რომ უყურებდნენ, ელაპარაკებოდნენ, ეხებოდნენ. ღამით აკრაჭუნებს კბილებს, იჩიქნის ცხვირს. ადგილი აქვს ჭიებით ინვაზიას.

Cypripedium - ბავშვს არა აქვს თამაშის და გართობის სურვილი.

Gelsemium - ბავშვს გადაყლაპული საკვები გადმოსდის ცხვირიდან.

Ipecacuanha - ფაღარათი, გულისრევის შეგრძნება. ბავშვთა კაპილარული ბრონქიტი.

Jalapa - ბავშვი ტირის ღამით, ძინავს დღისით.

Lycopodium - ბავშვი დღისით ტირის, ღამით ძინავს. თავი განვითარებული აქვს, მუცელი დიდი, ხელ-ფეხი კი სუსტი. ძალიან ბრაზდება, თუ გააღვიძებენ. მშობლებს იცილებს ხელისკვრით.

Natrium muriaticum - ბავშვი იწონის ნორმაზე ნაკლებს, მორცხვია. არაფერი არ უნდა. როცა აწყნარებენ, ბრაზდება. თმების ზრდის მოსაზღვრე არეში დამახასიათებელია გამონაყარი. შეკრულობა. გამხდარი კისერი.

Phosphorus - ბავშვს ეშინია ქარიშხლის და სიმარტოვის. სკოლის შემდეგ ტკივა თავი. გონებრივი დატვირთვისას სიმპტომები ძლიერდება. ძვლების ზრდა შეჩერებულია. სისხლნაკლებობა. სისხლის შედედების უნარი დაქვეითებულია.

Rheum - კოლიკა, ფაღარათი.

Sambucus - ბავშვი ვერ წოვს გაჭედული ცხვირის გამო. სურდო. ღამით ასთმა, ბავშვი ლურჯდება. იღვიძებს ძლიერ გაოფლილი.

Sarsaparilla - კანის ქრონიკული გამონაყარი. სკორფულოზი. რძის ფუფხი. გამონაყარი ძლიერ ქავანაა. ბავშვი გამხდარია, გამოფიტული.

Silicea - ბავშვი მცივანაა, გამოფიტული, დიდი მუცლით და გამხდარი კიდურებით.

Stramonium - ბავშვი ბალიშიდან უეცრად წვეს თავს. ღამე ახასიათებს წამოყვირება, ძილი მოუსვენარი. ბორძიკით ლაპარაკობს. ეშინია სიბნელის და მარტოობის.

Sulfur- სკურფულოზი, ლიმფური ჯირკვლების შესიება. ძირითადი საშუალებაა რძის ფუფხის სამკურნალოდ (აგრეთვე Calc.carb.).

Zincum metallicum - ფსიქოპათიური ბავშვი. ბავშვი თავით ემხობა ბალიშზე. იქნევს ფეხებს, თავს მოუსვენრად ატრიალებს გვერდიდან გვერდზე.

სამკურნალო საშუალებათა აღწერა

Acidum benzoicum – აციდუმ ბენზოიკუმ (ბენზოის მჟავა)

ავადმყოფს აქვს მცირე რაოდენობის მუქი ფერის სუნიანი შარდი. სუნი წააგავს ცხენის შარდის სუნს. ავადმყოფი ძლიერ ოფლიანობს ღამით, განიცდის ძლიერ ტკივილებს სახსრებში. სახსრები შეხებით არის ცხელი, წითელი ფერის. ავადმყოფს აქვს გულისცემის შეგრძნება ღამით. ეს პრეპარატი შესანიშნავად მოქმედებს სახსროვანი რევმატიზმების დროს.

Acidum nitricum – აციდუმ ნიტრიკუმ (აზოტმჟავა)

ამ კონსტიტუციური ტიპის ავადმყოფები ჩვეულებრივ არიან შურის მაძიებელი, გაღიზიანებული და ჭირვეული. გარეგნულად -- გამხდარი, მუქი კანით. კანისა და ლორწოვანი გარსების საზღვარზე მუდამ პრობლემებია - ნახეთქები ტუჩის კუთხესთან, ანუსთან. აქვს ძლიერი ტკივილები ნორმალური კუჭის მოქმედების დროსაც კი. აქვს ხიჭვის შერჭობის შეგრძნება და ტკივილი (აგრეთვე Arg.nitr., Hep.sulf., Silicea, Thuja). ყველა გამონაყოფი უსიამოვნო სუნისაა და შეიცავს სისხლს. განსაკუთრებით მკვეთრი სუნისაა შარდი. სხეულსაც უსიამო სუნი აქვს. ნაოფლი ადგილები ხშირად დიზიანდება. დიზენტერია. ხანგრძლივი ფაღარათი. კარგი საშუალებაა „ბრტყელი“ წყლულების დროს. Merc. cyan – თან ერთად გამოიყენება დიფტერიის დროს.

Acidum phosphoricum – აციდუმ ფოსფორიკუმ (ფოსფორმჟავა)

ავადმყოფი ყველაფრის მიმართ ინდიფერენტულია. განიცდის ძლიერ სხეულის, გონების და სულისძიერ სისუსტეს. ღამით -- უძილობა, დღისით -- ძილიანობა. ძალზედ სწრაფი ფიზიკური ზრდა. ძლიერი ოფლიანობა, რომლის შემდეგაც ავადმყოფი არაქათგამოცლილია. უმტკივნეულო, წყლისმაგვარი ფაღარათი, რომელსაც თან სისუსტე არ ახლავს. შარდი მღვრიეა. სითბოსაგან მდგომარეობა უმჯობესდება, სიცვიისაგან და სქესობრივი აქტისაგან - უარესდება.

Aconitum - აკონიტი, (ტილჭირი)

სასარგებლოა მწვავე ფებრილური დაავადების დასაწყისში ოფლის გამოყოფის დაწყებამდე. მშრალი სიცხის შეგრძნება. მოუსვენრობა და სულიერი აფორიაქება. შემცივნება, სიცხე, რომელსაც თან ახლავს ძლიერი წყურვილის შეგრძნება. მაჯისცემა სავსე, გაძლიერებულია. კანი გაწითლებული და მშრალია; ავადმყოფი ამბობს, რომ მალე მოკვდება. რეკომენდირებულია აგრეთვე სახის ნერვის ტკივილის დროს, თუ ეს ტკივილი გამოწვეულია ქარიან ამინდში გაცივების შედეგად. (სასურველია მივიღოთ რნიცა – სთან ერთად). ოფლის გამოყოფის შემდეგ აკონიტი აღარ შევლის, ამიტომ მას არ ვაძლევთ Belladonna-

სთან ერთად. ვწყვეტთ რა ცონიტ – ის მიღებას, გადავდივართ Belladonna – თი მკურნალობაზე.

Aesculus hippocastanum – ესკულუს ჰიპოკასტანუმ (ცხენის წაბლი)

შეგუბება კარის ვენაში. მუცლის ქვედა ნაწილში სისხლის შეგრძნება. წელის რევმატიული ტკივილი, რომელიც ძლიერდება სკამიდან ადგომის დროს. ჰემოროი, შემაწუხებელი, როგორც დამსხვრეული მინის შეგრძნება სწორ ნაწლავში. საერთოდ კარგად მოქმედებს ვენებზე, ჰემოროი არასოდეს არ არის სისხლმდენი. სამაგიეროდ ძლიერ მტკივნეულია და თან ახლავს ყრუ ტკივილი წელის არეში. ნაჩვენებია ტვინის ვენების თრომბოზის დროს.

Aethusa – ეტუზა (ძაღლის ქინძი)

ძირითადი საშუალებაა იმ პატარა ბავშვებისათვის, რომლებიც აღებინებენ რძეს. ბავშვი აღებინებს მომჯავო რძის დიდ რაოდენობას, რის შემდეგაც იღლება და იძინებს. უნიშნავენ მოსწავლეებსაც ყურადღების და სიბეჯითის მოსამატებლად.

Agaricus – აგარიკუსი (შხამა სოკო)

ყბელობა (Lachesis). ჭირვეულობა. კანი წითელია, ექავება და ეწვის, როგორც მოყინული. კანზე სიცივისა და მსუბუქი ჩხვლეტის შეგრძნება. სახის კუნთების უნებლიე შეკუმშვა, განსაკუთრებით ქუთუთოების. მოყინვა. სიმეტრიული ჩივილები (Lac. Can.). სიმპტომები მწვავედ სიცივეზე ყოფნის შემდეგ, ალკოჰოლის მიღების შემდეგ და სქესობრივი აქტის შემდეგ. უნდა გვეშინოდეს ანტიბიოტიკებზე რეაქციის. რეკომენდირებულია სტუდენტებისათვის ტვინის „გამოკვების“ მიზნით. მოყინვა (Pulsat.) მდგომარეობის გაუმჯობესება მშვიდი, ნელი მოძრაობის შემდეგ.

Alumina – ალუმინა (ალუმინის ოქსიდი)

ავადმყოფი გამხდარია, ყველაფრით უკმაყოფილო. შეიგრძნობს სიმშრალეს. განწყობილება დათრგუნულია. სახის, თვალების, პირის, უკანა ტანის სიმშრალე. ავადმყოფს აქვს ცარცის, ნახშირის, ფქვილის, უმი კარტოფილის ჭამის სურვილი. გამონაყოფი უხვია, მწვავე. შეკრულობა ბავშვებში და ფეხმძიმეებში. ნესტოები დაფარულია წყლულებით და ფუფხებით. კიდურების კანკალი. ავადმყოფს ამცივნებს. სიმპტომები მწვავედ სიცივესა და კარტოფილისაგან დამზადებული კერძების ჭამის შემდეგ. საუკეთესო საშუალებაა ანუსის ქავილისას, ქრონიკული შეკრულობისას.

Ambra grisea - ამბრა გრიზეა (ვეშაპის ჯირკვლების გამონაყოფი)

სიმპტომები უარესდება, როდესაც ავადმყოფი მათზე ფიქრობს (Acid. oxal.). ნაჩვენებია მორცხვი, მფრთხალი ადამიანებისათვის. ავადმყოფს არ შეუძლია სხვისი თანდასწრებით მოშარდვა ან გამოყოფს შარდს მხოლოდ პორციებით.

(Natr. Mur.). სისხლდენა საშვილოსნოდან შეკრულობის ან ხანგრძლივი სეირნობის შემდეგ. კარგი საშუალებაა ნაადრევი სიბერის საწინაამდგომელი.

Antimonium crudum – ანტიმონიუმ კრუდუმ (შავი სურმა)

ენა დაფარულია სქელი თეთრი ნადებით. რეაქცია სუსტი. განწყობილება ცუდი, ავადმყოფი ჭამს ბევრს, ჭირვეულობს. ყველაფრით უკმაყოფილოა. თუ ეს ბავშვია – არ უნდა, რომ მას უყურებდნენ ან ეხებოდნენ. შარდვა და კუჭის მოქმედება ერთდროულად ხდება. სიმპტომები უარესდება როგორც სითბოსგან, ასევე სიცივისგან. ტერფებზე – გარქოვანება. საუკეთესო საშუალებაა ჩირქოვანი გამონაყარისათვის.

Apis mellifica – აპის მელიფიკა (ფუტკარი)

ფუტკრის ნაკბენზე ადამიანი განიცდის წვას და ჩხვლეტით ტკივილს. ამიტომ უნდა Apis გამოვიყენოთ წვის საწინაამდგომელი. განსაკუთრებით კარგად მოქმედებს ქალებზე. მუდმივი მოუსვენრობისა და ფუსფუსის შეგრძნება. ღამით ავადმყოფს ახასიათებს წამოყვირებები. Apis კარგად მოქმედებს თირკმლებზე. ავადმყოფს საერთოს არა აქვს წყურვილის შეგრძნება, თუმცა მას წყალმანკი აქვს. საუკეთესო საშუალებაა ანგინას დროს. განსაკუთრებით, თუ შეშუპებით მიმდინარეობს. ავადმყოფის მდგომარეობა უმჯობესდება სიცივეზე, ხოლო სითბოში – უარესდება. Cantharis- თან და Jodum – თან ერთად Apis კარგად მოქმედებს საკვერცხის კისტის დროს (ასციტი, ენის შეშუპება, ექსუდაციური პლევრიტი). კარგად მოქმედებს უმიზეზო ეჭვით შეპყრობილ ქალებზე. შეუთავსებელია Rhus tox.-თან.

Aranea diadema – არანეა დიადემა (ობობა)

შემცივნება, ცივი კიდურები. სიმპტომები მწვავედება თბილ ამინდში (იხილეთ აგრეთვე Natr.sulf., Rhus tox., Rhododendron., Dulcamara). ხელები სქელი, შესიებული.

რგენტუმ ნიტრიცუმ – არგენტუმ ნიტრიკუმ (ლაპისი)

ავადმყოფს აქვს მკრთალი, მონაცრისფერო „მოხუცის“ სახე. ის გამხდარი, მოუსვენარია. ერიდება ხალხის თავშეყრის ადგილებს. ესიზმრება გველები (Lachesis, Lac can). მისთვის დრო მიედინება მეტისმეტად ნელა. ეშინია ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისა, ფიქრობს რომ მაინც არაფერი გამოვა. კარგი საშუალებაა ნევროზით დაავადებულისათვის, რომელსაც აქვს მისწრაფება შაქრისადმი, თუმცა მისი მიღების შემდეგ ხდება ცუდად. საკვების მიღების შემდეგ სიმპტომები მწვავედება. აქვს თავბრუსხვევა, კიდურების კანკალი (Gelsemium), ან ელლება ფეხები, ძლიერი სისუსტე, კანკალი. ქალის სასქესო ორგანოების სიმსივნე. კუჭის კატარი. კუჭის წყლული მკვეთრი, მწვავე ტკივილებით. გაფანტული სკლეროზი.

Arnica – არნიკა (მთის არნიკა)

ძალიან გვეხმარება სიბერესთან ბრძოლაში. კარგად მოქმედებს აგრეთვე ტრამეების დროს, განსაკუთრებით დაჟეჟილობის დროს, სხეულში ტენიის შეგრძნების დროს, დაღლილობა, სისუსტე. ურბილესი საწოლიც კი დაფასავით ეჩვენება. ბოყინი ლაყე კვერცხის სუნით. აირები ასევე ლაყე კვერცხის სუნით. ყველა გამონაყოფს აქვს სიღამპლის სუნი: ოფლს, განავალს, აირს, კუჭიდან ამონაქარვებს. ცნობიერება დაბინდულ მდგომარეობაში, – კუჭის უნებლიე მოქმედება და შარდვა. ავადმყოფს ეშინია, რომ მას შეეხებიან ან უბიძგებენ. ბავშვებში ყივანახველა შეტევის დაწყებამდე ტირილით. თავბრუსხვევა ასაკოვნებში, მაღალი წნევა ყველა ასაკის პირებში. დიდი რაოდენობით პატარა მტკივნეული ფურუნკულები. სიმპტომების გამწვავება დაძაბული გონებრივი და ფიზიკური შრომის შემდეგ, აგრეთვე მაშინ, როცა ავადმყოფს ეხებიან.

მდგომარეობის გაუმჯობესება თბური პროცედურების ჩატარების და ცხელი საკვების მიღების შემდეგ. მიღებაზე ერთი ქალი უჩიოდა ძლიერ თავის ტკივილს და შეგრძნებას რომ დაფაზე ეძინა. მე გამოვუწერე რნიცა 15. შემდეგ მოსვლაზე მან მითხრა, რომ თავის ტკივილი და „დაფის“ შეგრძნება უკვალოდ გაქრა.

აფთიაქის თანამშრომელი ტვინის შერყევით სამი კვირის განმავლობაში იწვა სტაციონარში და მალულად ღებულობდა რნიცა 6 – ს. რამდენიმე კვირის შემდეგ ჩემთან მოვიდა მსუბუქი თავის ტკივილის და გონების დაჩლუნგების შესახებ ჩივილით. ორი მიღება რნიცა 30 –ის შემდეგ ყველა ჩივილი მოეხსნა.

Arsenicum album – არსენიკუმ ალბუმ (თეთრი დარიშხანი)

ცხენებს კანი რომ უბზინევდეს ბოშები ცხენის საკვებში დარიშხანს ურევენ. ავადმყოფს პედანტურობამდე უყვარს წესრიგი. ლაპარაკობს სწრაფად. ღამით აწუხებს ასთმა. ძალიან კარგი საშუალებაა ზაფხულის ფადარათისათვის, ხორციით მოწამვლისას, გულის ტკივილის დროს (ანგინა პეტორის), მოუსვენრობისას და შიშების დროს. ნაჩვებია აგრეთვე ძლიერი დაღლილობისას და გამოსატყუი სისუსტისას, აგრეთვე სასიცოცხლო ძალის უეცარი დაცემისას. კარგია აგრეთვე წვის შეგრძნებისას. ავადმყოფს აწუხებს წყურვილი, მაგრამ ერთ ჯერზე სვამს ცოტას. კანი მშრალია, იქერცლება „იწვის“. სიმპტომების გაძლიერების პერიოდულობა. ავადმყოფი ჩივის, რომ „სისხლი უღულს ძარღვებში“. სითბოსგან მდგომარეობა უმჯობესდება, წვა სუსტდება. სიმპტომები სიმპტომები მწვავდება შუადამისას და სიცივისაგან.

თუ როგორი მნიშვნელობა აქვს თითქოსდა უმნიშვნელო სიმპტომს, შემიძლია გაჩვენოთ შემდეგ მაგალითზე: მე ვმკურნალობდი 70 წლის ქალს, რომელსაც აწუხებდა ძლიერი ხველა და ლორწოვანი ბრონქიტი. მას შემდეგ, რაც მიიღო Tartarus stib., Ipecac., Conium და სხვა საშუალებანი, მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, მხოლოდ დარჩა წამოხველება. მაშინ, როდესაც წვებოდა. მე მას გამოვუწერე Arsenicum album D12 ორი დღის შემდეგ ხველა გაქრა.

Aurum – აურუმ (ოქრო)

იხილეთ „კონსტიტუციური საშუალებანი“. ითვლება გამაახალგაზრდაველ საშუალებად. ავადმყოფის ტიპი: სქელი, მშიშარა, მელანქოლიკი კლიმაქტერულ

ასაკში. ქალები მუდმივად შეიგრძნობენ თავის საშვილოსნოს. საშვილოსნოს გამკვრივება. ფიქრები თვითმკვლელობაზე (Natr. Sulf.). შიშის შეგრძნება, უსიამო შეგრძნება მკერდის ზვლის ქვემოთ. მომატებული წნევა. კარგი საშუალებაა საშვილოსნოს მიომეტრიუმის დროს, პროსტატის ჰიპერტროფიის და ძვლის კარიესის დროს.

Barium carbonicum – ბარიუმ კარბონიკუმ (ბარიუმის კარბონატი)

კარგად მოქმედებს როგორც ბავსებში, ასევე მოზრდილ ასაკში. ნაჩვენებია ფიზიკურ ზრდაში ჩამორჩენილი ბავშვებისათვის, შენელებული აღქმის უნარით, დიდი თავით ჩია სხეულზე. პატარა ტანის მოხუცები, სუსტნი სხეულითა და სულით. რეკომენდირებულია კიდურების კანკალის, თავბრუსხვევის, მოხუცებულებში მხედველობის დაქვეითებისას. ავადმყოფები არ ენდობიან არც გარშემომყოფებს, არც თავის თავს. ხშირად აქვთ გლანდების ანთება (ამიტომ ზოგჯერ უკეთესი მოქმედება აქვს Barium miriaticum – ს). სიმპტომები მწვავედბა ნესტიან, ცივ ამინდში. ნაჩვენებია ცხიმგროვების, ჰიპერტონიის, არტერიოსკლეროზის დროს.

Belladonna – ბელადონა

ჰანემანის თანამედროვე და იმ დროისათვის ცნობილი ექიმი, უფელანდი, ამბობდა, რომ Belladonna მოქმედებს მხოლოდ ჭკვიან ადამიანებზე. ავადმყოფს აქვს მაღალი სიცხე, კანი ნამიანი. ბავშვი წყნარად წევს საწოლში, ხშირად გახევებულიც კი. განსაკუთრებით კარგად მოქმედებს ბავშვებზე, რომლებიც ჩვეულებრივ მდგომარეობაში დამჯერნი არიან, ხოლო სიცხიანი აუტანელები ხდებიან. კანი გაწითლებული აქვთ, გუგები – გაფართოებული. თავში აქვთ პულსაციის შეგრძნება, თითქოს ჩაქუჩს ურტყამენ. ყელში სიმშრალე. ყლაპვისას ზეწოლის შეგრძნება. კანი ნამიანი. ავადმყოფი მიდრეკილია კრუნჩხვებისაკენ. პირში სიმშრალე, სიცხის შეგრძნება, წყლის დაღვეით ეს შეგრძნებები არ მცირდება. ავადმყოფი შეიძლება უეცრად წამოხტეს საწოლიდან, დაიწყოს სიცილი და ლაყობა. მოუსვენარი ძილი ბავშვებში. მათ ხშირად სძინავთ ნახევრად გახელილი თვალებით, ლაპარაკობენ ძილში (Apis, Calc, Phosph.). კანი აწითლებულია. (საერთოდ ძირითადი საშუალებაა ქუნთრუმის დროს). კარგად მოქმედებს კრუნჩხვების დროს, განსაკუთრებით იმ ავადმყოფებში, რომლებიც ვერ იტანენ ვერავითარ „სიმძიმეს“ სხეულზე, პერანგსაც კი. სიცხისაგან, განსაკუთრებით კი მზის სხივებისაგან, სიმპტომები მწვავედბა. მწვავედბა აგრეთვე სხეულზე მსუბუქი ზეწოლის დროსაც, ხოლო ძლიერ ზეწოლას, პირიქით, ხშირად მდგომარეობის შემსუბუქება მოჰყვება. Belladonna არასოდეს არ უნდა მივცეთ ცონიტ –თან ერთად. უნდა მივცეთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაგამთავრებთ Aconit – ის მიღებას.

Berberis vulgaris – ბერბერის ვულგარის (კოწახური)

ავადმყოფს აღენიშნება სიმპტომების სწრაფი ცვლა. ტკივილი თირკმელების არეში, რომელიც ძლიერდება მჯდომარე მდგომარეობაში. შარდი მღვრიეა, ნალექით, შეიცავს თვალთ შესამჩნევ წვრილ ნაწილაკებს. კუჭში სიცივის შეგრძნება. ტკივილი წელსა და კიდურებში, რომელიც ძლიერდება სიარულისას და წარმოიშობა შარდ-სასქესო ორგანოებისა და თირკმლის ჩივილებთან ერთად.

Bryonia – ბრიონია (ლეშურა)

ავადმყოფი გაღიზიანებულია, მშიშარა, ვერ იტანს შეპასუხებას. შესანიშნავი საშუალებაა რევმატიზმის საწინააღმდეგოდ. ავადმყოფის მდგომარეობა უარესდება უმცირესი მოძრაობის შემდეგ, აგრეთვე სითბოში, განსაკუთრებით ღილით. თკივილი მცირდება ზეწოლის შედეგად, ავადმყოფ მხარეზე წოლისას, სიმშვიდეში და ნესტიან ამინდში. ავადმყოფს ყველაფერი მშრალი აქვს: ლორწოვანი – განსაკუთრებით პირის ღრუში, ტუჩები, ხველა, განავალი. განწყობილება – გაღიზიანებული. ავადმყოფს აწუხებს ძლიერი ოფლიანობა, მხვლეტავი ხასიათის ტკივილი მკერდში, მუცელში ან მუხლებში. ხველა აქვს მშრალი, მწვავედება თბილ შენობაში შესვლის შემდეგ. ავადმყოფი განიცდის ძლიერ წყურვილს, მას უნდა დალიოს დიდრაოდენობით ცივი წყალი. შეკრულობა. პირში სიმჟავის შეგრძნება, სიმწარე. ავადმყოფობის მიზეზი: გაღიზიანება რამეზე ან ვინმეზე. კუნთები დაჭიმულია და მტკივნეული.

Cactus grandiflorus – კაქტუს გრანდიფლორუს

საგულე საშუალებაა. ნაჩვენებია გულის არესა და მკერდში ზეწოლის შეგრძნების დროს („თითქოს თოკებით გაუკოჭავთ“). ძლიერი ჩხვლეტა გულის არეში. სისხლდენა გულით ავადმყოფებში. საერთოდ ზეწოლის შეგრძნების დროს სხეულისათვის უმნიშვნელოვანეს ორგანოებზე, განსაკუთრებით გულზე. გამწვავება ღამით. ავადმყოფს არ შეუძლია ჭამა, თუ წყალი არ დააყოლა.

Calcium carbonicum – კალციუმ კარბონიკუმი (ჰანემანის)

ბავშვებში კალციუმის ცვლის დარღვევას თან სდევს რაქიტის განვითარებაც. ითვლება, რომ კალციუმი ჰომეოპათიური დოზებით მოქმედებს ძირითადად კალციუმის ცვლის ცენტრებზე. ჩვენება: პასტოზური, შეშუპებული, ფერმკრთალი, ინერტული, ზარმაცი ადამიანი. ყველაფერი მოღუნებული აქვს. დამახასიათებელია დეპრესია. კანი ცივი, მოშვებული, ფეხები ცივი. ავადმყოფი ვერ იტანს სიცივეს, განსაკუთრებით ცივ ჰაერს. ქალებს მენსტრუაციის დაწყების წინ აქვთ გონების დაკარგვის შიში. მონაქარვი მუავა, სხეულს აქვს მომჟავო სუნი. ფაღარათისას განავალი მომჟავოა. ახასიათებთ თავის ოფლიანობა, განსაკუთრებით დიდთავიან ბავშვებს. აქვთ გაბერილი სხეული (ბაყაყისებური მუცელი). კბილების ამოჭრა დაგვიანებულია. ავადმყოფი არ სვამს რძეს, სამაგიეროდ უყვარს კვერცხი. დნავი დატვირთვის დროსაც კი ოფლიანობს. რძის ფუფხი. კანის დაავადებანი, რომელთა სიმპტომებიც უარესდება ცივი წყლისაგან. ყბისქვეშა და საზარდულის ლიმფური ჯირკვლების შესიება (Conium, Barium).

ქალებში: მენსტრუაცია მეტად ნაადრევი, მეტად ძლიერი, მეტად ხანგრძლივია. ავადმყოფის მდგომარეობა უარესდება ცივ ამინდში, სავეს მოვარის დროს. კარგი საშუალებაა გადაღლის დროს.

Calcium fluoratum - კალციუმ ფლუორატუმ
(კალციუმის ფტორიდი)

ავადმყოფი ფულის გულისათვის ყველაფრისთვის მზადაა. სიხარბის ჰიპერმოზილურობა. ნაჩვენებია დაბერებისას ან და ნაადრევი სიბერის ნიშნებისას. ხშირად უჩნდება ჯიბლიბო. ჰემოროი, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ვენების ანთება, განსაკუთრებით ქრონიკული. კბილების კარიესი. მგრძობიარობა ნესტიანი, ნისლიანი ამინდისადმი და ელექტრული ველებისადმი. ავადმყოფი ყოველგვარი მორიდების გარეშე ჰყვება ინტიმური წვრილმანების შესახებ. (განსხვავებით ჰოსპიტორ-ის ტიპისაგან, რომელსაც გახდაც ესირცხვილება).

Calcium phosphoricum - კალციუმ ფოსფორიკუმ
(კალციუმის ფოსფატი)

ცოცხალი, დაუდგრომელი, ძვალწვრილი ბავშვები, რომელთაც ცოტა აღზრდა აკლიათ: ყველაფერს ხელს სტაცებენ, ძვრებიან მაგიდის ყველა უჯრაში. ადვილად იღლებიან სულიერად და ფიზიკურად. ხერხემალი აქვთ სუსტი. თუკი ბავშვს აქვს მისწრაფება შაშხის ჭამისაკენ, მიეცით მას შაშხი და კალციუმის ფოსფატი. სკოლის შემდეგ ბავშვებს ტკივათ თავი. ეს იმითაა გამოწვეული, რომ სისუსტის მიუხედავად, ისინი ჭკვიანები და პატივმოყვარენი აარიან. აქედან გამომდინარეობს შეუფერებელი დატვირთვა სუსტ თავზე.

ბავშვები არიან გამხდრები, ავადმყოფური შესახედაობის. საწოლში მოკუნტული წვანან. რევმატიზმი თავს იჩენს ამინდის ცვალებადობის დროს. ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ცხვირ-ხახაში აღენოიდური წარმონაქმნების სამკურნალოდ.

Cantharis – ქანთარის (შპანკა)

ამ ნივთიერებას ღებულობენ ერთ-ერთი რუსული ხოჭოსაგან. შესანიშნავი სშუალებაა შარდის ბუშტის ანთების დროს. ავადმყოფი შეწუხებულია, შარდისას გრძნობს მწვავე მჭრელი ხასიათის ტკივილს. შარდი გამოიყოფაშირად, მცირე პორციებით, ზოგჯერ თან ახლავს სისხლი. ავადმყოფი ჩვეულებრივ შეიგრძნობს ძლიერ წყურვილს. კანის გამონაყარი ბუშტუკოვანი ტიპისაა. სქესობრივი ლტოლვა დაუოკებელი სწრაფვის სახეს იღებს (Platina, Murex). კარგად მოქმედებს პლევრიტის დროს. ძილის დროს ავადმყოფის მდგომარეობა უმჯობესდება.

ერთხელ გამომიძახეს სკოლის 78 წლის ჭადარა მასწავლებელთან. მას ჰქონდა მოშარდვის მოთხოვნილება, მაგრამ გამოდიოდა მხოლოდ რამდენიმე რამოდენიმე სისხლიანი წვეთი. ამასთან ერთად ის უჩიოდა მწვავე ტკივილს საშარდე გზებში. მე დავუნიშნე ჩანტპარის 6 ყოველ საათში მისაღებად. შემდეგ ღამით მე კვლავ სასწრაფოდ გამომიძახეს მასთან. მას დაეწყო მწვავე ტკივილი შარდის ბუშტის არეში. მეგონა, რომ კვდებოდა. მე დაგაწყნარე და შევუწვიტე პრეპარატის მიცემა. მეორე დღეს პაციენტს ტკივილი ჩაუცხრა, ხოლო კიდევ ერთი დღის შემდეგ ჯანმრთელი იყო. წამალი დანიშნული იყო სწრაფად, მხოლოდ პოტენცია აღმოჩნდა ზედმეტად ძლიერი.

Carbo vegetabilis - კარბო ვეგეტაბილის
(წიფლის ნახშირი)

სისუსტე. ავადმყოფი იმყოფება თავისი სასიცოცხლო ძალების გამოფიტვის ზღვარზე. კანი აქვს ცივი, სუნთქვა ცივი, სახის ფერი მოლურჯო. ავადმყოფს არ ჰყოფნის ჰაერი. ის თხოულობს, გააღონ ყველა ფანჯარა. კანი, განსაკუთრებით წვივებზე, ცივია. შინაგან ორგანოებში მწველი ტკივილი, „თითქოს ნახშირი იწვის“. წყლულის მწვავე ტკივილი. კარგად მოქმედებს მოხუცებზე, რომელთაც აქვთ ცივი ქვემო კიდურები. იხმარება აგრეთვე, როგორც დამატებითი საშუალება სიმსივნისაგან გამოწვეული ტკივილების დროს.

Carduus marianus – კარდუს მარიანუს
(ნარშავი)

კარგი საშუალებაა ღვიძლის დაავადებების დროს. განსაკუთრებით ნაჩვენებია სრული, პიკნიური ტიპის ადამიანებისათვის. შეკრულობა, მომწარო გემო პირში. ღვიძლი გადიდებული, განსაკუთრებით ალკოჰოლისტებს. კარის ვენა გადავსებულია, შეგუბებული. ჰემოროი, რომელიც იწვევს წვას და ქავილს, კარგად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, განსაკუთრებით ვენურ სისტემაზე. სიყვითლე ყრუ თავის ტკივილით (3 - 6). შაკიკი ქალებში, რომელთაც აქვთ უხვი მენსტრუალური გამონადენი და ღვიძლით ავადმყოფებში. კარის ვენის შეგუბების დროს კარგია აგრეთვე Aescul., Nux vom., Sulfur.

Causticum – კაუსტიკუმი

ავადმყოფს ეშინია მოახლოებული უბედურების, სიბნელის. კარგი საშუალებაა ქალებში საშარდე ბუშტის სისუსტის დროს, როდესაც შარდი მცირე პორციებით უნებლიედ გამოიყოფა ხველის, სიცილის დროს.

ზემოქმედებას ახდენს ხველებზეც, საშარდე ბუშტზეც. ნაჩვენებია ხველის დროს, რომელსაც თან ახლავს სასუნთქ გზებში წვა. საერთო სისუსტე. დამბლა, განსაკუთრებით ინსულტის შემდგომი. სახის კანი უსუფთაო. სახეზე მეჭეჭები. ხმის ჩახლეჩა, რომელიც ძლიერდება დილით. შეკრულობა. კუჭის მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ ფეხზე დგომის დროს. რევმატიზმი. ყბების გახევება. წვავე ტკივილები. მყესების დაჭიმვა მაგ.: დიუპიუიტრინის კონტაქტურის დროს. მშრალი სიცივისაგან სიმპტომები მწვავედება. სითბოში მდგომარეობა უმჯობესდება.

Ceanothus americanus – ცეანოტუს

ნაჩვენებია ელენთის შესიების დროს (Ferrum), ღვიძლის შესიების დროს მალარიის შემდგომ.

შვიდი წლის ყმაწვილი საავადმყოფოში ჩათვალეს უიმედო ავადმყოფად და გაწერეს სახლში. ელენთა ძლიერ ჰქონდა გადიდებული. მე დაუწინაშე Ceanothus 6. ორი თვის შემდეგ პაციენტი თითქმის ჯანმრთელი იყო.

Chamomilla – ხამომილა (გვირილა)

ესაა საშუალება მხოლოდ და მხოლოდ ქალებისა და ბავშვებისათვის. საუკეთესო საშუალებაა ჩვილ ბავშვთა ნებისმიერი ჩივილის დროს. გადაჭარბებული ჩივილები და ტკივილი. მოუსვენრობა, ჭირვეულობა გაღიზიანებადობა. ერთი ლოყა გაწითლებული აქვს, მეორე – მკრთალი. ბავშვი გამუდმებით ითხოვს რაღაცას, ხოლო მიიღებს რა – ისვრის შორს. ყვირის უმიზეზოდ. კრუნხვია. მომწვანო ფერის განავალი ლორწოთი და მუცლის არეში ტკივილებით. განავალი მოგვაგონებს დაკეპილ კვერცხს. ყურის ტკივილი ბავშვებში. კბილების ამოჭრის პერიოდი. სითბოში მდგომარეობა უარესდება. სიცივეს არ მოაქვს შვება. სიმპტომები მწვავედება საღამოს და ღამით.

ბავშვის მდგომარეობა უმჯობესდება, თუ კი ხელში აიყვანენ. ხამომილას ზემოქმედება ხანმოკლეა, ამიტომ ის უნდა მიეცეს დროის მოკლე შუალედებით.

Chelidonium – ხელიდონიუმ (ქრისტესისხლა)

საუკეთესო საშუალებაა გასტრიტის დროს. ზემოქმედებას ახდენს ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტზე. ტკივილი მარჯვენა ბეჭის ქვედა ნაწილში. სახის ფერი მკრთალი, ყვითელი. ენა დაფარულია მოყვითალო ფერის ნაღებით, კიდებში წითელია, კბილების ნაჭლევი (Merc.). პირში მომწარო გემო (Nart.sulf., China, Nux vom., Bryon.). კუჭის დისფუნქცია. შეკრულობა და ფაღარათი, რომელიც ერთმანეთს ენაცვლება. გუნება-განწყობა უმჯობესდება საკვების მიღების, განსაკუთრებით ცხელი საკვების მიღების შემდეგ.

China – ხინა (ქინაქინის ხე)

ავადმყოფი სიტყვაძვირია, ჯიუტი, სხვების აზრს ანგარიშს არ უწევს. სისუსტე მნიშვნელოვანი რაოდენობით სისხლის ან სითხის დაკარგვის შემდეგ. სისხლნაკლებობა. ოფლიანობა უმცირესი მოძრაობის დროს. მუცლის გადავსების შეგრძნება, განსაკუთრებით მის ზედა წილში. ავადმყოფს აქვს სურვილი მხოლოდ ჩამოჯდომის ან წამოწოლის. შეტევების გამეორება ყოველ ორ-სამ დღეში. ჩივილები მეტეორიზმზე, აირები ძლიერ უსიამო სუნით განავალში – საკვების გადაუმუშავებელი ნაწილები. ბეჭებს შორის სისუსტის შეგრძნება. ოდნავი შეხებაც კი მტკივნეული ეჩვენება, ხოლო ძლიერი ზეწოლა – სამკურნალო. ავადმყოფის გუნება-განწყობა უარესდება შეხებით და ცივი ჰაერით. შესანიშნავი საშუალებაა ელენთის, ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის მუშაობის ქრონიკული დარღვევების დროს.

Cimicifuga – ციმიციფუგა

ჩამრგვალებული ქალი. პრეკლიმაქსურ ასაკში. მხდალი. აწუხებს რევმატიზმი. პერიოდულად იპყრობს სევდა. ლაქლაქაა (Lachesis, Paris). ეს სპეციფიური ქალური საშუალებაა. განსაკუთრებით კარგად მოქმედებს საშვილოსნოზე, რევმატიზმზე. ყველა სიმპტომი მწვავედ მენსტრუაციის დაწყების წინ, შემდგომ სუსტდება. მშობიარობის შემდგომი მანია. რევმატიზმი თითების სახსრებში. კლიმაქსის დადგომასთან ერთად – ტკივილი სარძევე ჯირკვლებში. შვებას იძლევა მშობიარობისას, ისევე როგორც Plsatilla ან Caulophyllum.

Cocculus – კოკულუს

ავადმყოფი გონებადაფანტულია. აზროვნებს ნელა. ვერ იტანს შეპასუხებას. სიცარიელის შეგრძნება თავსა და კუჭში. თავბრუსხვევა ღებინებით, განსაკუთრებით დილით. უძილო ღამის შედეგები. თავის ტკივილი, რომელიც გადაეცემა კისერს და კეფას. ტრანსპორტით მგზავრობის აუტანლობა, მაგალითად, ავტომობილით მგზავრობა. ხელები ღამით შუპდება, სივდება. Bar.jodat-სთან ერთად ითვლება ტავბრუსხვევის საწინაამდგეო კარგ საშუალებად. ნაჩვენებია ღამის ცვლაში მომუშავე მუდღებისთვის.

Coccus cacti - კოკკუს კაკტი

საღებავი, რომელიც ამ მწერისაგან მიიღება, ადრე გამოიყენებოდა სხვადასხვა კერძებისათვის ფერის მისაცემად. ნაჩვენებია ყივანახველის დროს, როდესაც შეტევები ძლიერდება შუაღამის შემდეგ. ხველის შეტევები მთავრდებაღებინებით წებოვანი, მინისმაგვარი ღორწოთი, რომელიც ტუჩის კუთხეებიდან გადმოედინება თხელი ძაფების სახით. განსაკუთრებით ყივანახველას ბოლო სტადიაში. ჰანემანის თანამედროვე და პარაცელსის მიმდევარი, Rademacher, თვლიდა ამ საშუალებას ძირითადად თირკმელების დაავადებების დროს.

Colocynthis – კოლოცინტის (მწარე კვახი)

ავადმყოფი გაღიზიანებულია, ბრაზობს წვრილმანების გამო. კოლიკა, რომელიც ქრება მოხრილ მდგომარეობაში ან ავადმყოფ ადგილას ზეწოლის დროს. ფაღარათი კოლიკით. შახის ნევრალგია, იშიაზი. Rhus tox-თან და ნაპჰალიუმ-თან ერთად შეადგენს ტრიადას იშიაზის სამკურნალოდ. მეოთხე საშუალებად ითვლება Nux vom., რომელიც ნაჩვენებია შეკრულობის თანდართვის დროს. კარგი საშუალებაა ბავშვებში ჭიპის კოლიკის დროს.

Conium – კონიუმ (კონიო)

ავადმყოფი ბუზღუნაა, არაფრით არ ინტერესდება, დეპრესიაშია. კარგი საშუალებაა გასათხოვარი ქალებისა და უცოლო მამაკაცებისათვის. მოხუცებულების ხველა. ჯირკვლების გამკვრივება, მათ შორის მკერდის, განსაკუთრებით თუ ეს მდგომარეობა გამოწვეულია ბიძგით ან ზეწოლით. ხველა მშრალი, ძლიერდება მწოლიარე მდგომარეობაში; თავბრუსხვევა, რომელიც ძლიერდება მწოლიარე მდგომარეობაში ან საწოლში გვერდის ცვლისას. გამკვრივება ან ჩაზრდა შემაერთებელი და ჯირკვლოვანი ქსოვილის, ხსირად ყრუ სიმძიმის შეგრძნებით. პროსტატის ადენომა. სისუსტე, კუნთების კანკალი.

Cuprum – კუპრუმ (სპილენძი)

ავადმყოფი შეპყრობილია იდეა-ფიქსით. ამ საშუალებას ძალიან აფასებდა პარაცელსი. კარგად გვეხმარება კრუნჩხვების და სპაზმების დროს. წვივის კუნთების კრუნჩხვა, ეპილეფსიური, ურემიული გულყრა. სპაზმოფილია. ნაჩვენებია აგრეთვე ყივანახველას დროს, როდესაც სხეული ხევდება და სახე ლურჯდება. კრუნჩხვისას ცერი მუჭშია მომწყვდეული. სიპტომები მწვავედება ღამით და სუფთა ჰაერზე.

Drosera rotundifolia – დროზერა როტუნდიფოლია (ცვრიანა)

ცხვრები, რომლებიც ჭამენ ცვრიანას, ხშირად ავადმყოფობენ სპაზმური ხველით. ჩვენება: სპაზმური ხველა, ტკივილი მკერდის ძვლის არეში, ავადმყოფი მუდმივად იღებს ხველა მკერდზე. ხველა ძლიერდება შუაღამის შემდეგ. ხველა ღრმაა. ხველის შემდეგ ხშირია დებინებაც. ყივანახველა, რომლის დროსაც ბავშვები ტკივილისგან ხელს იჭერენ მკერდზე. დროზერა თავის დროზე დაგვეხმარა აღგვეკვეთა ბევრი ეპიდემია.

Dulcamara – დულკამარა (ხებალახა)

ზაფხულის ფაღარათი. სიმპტომები მწვავედება ფეხების გაცივების, ცივი სასმელების მიღების შემდეგ, ნესტისგან, ცივ სკამზე ჯდომის შემდეგ.

განსაკუთრებით ნაჩვენებია ქალებისათვის, რომელთაც ცივ ადგილზე ჯდომის შემდეგ უმწვავედებოთ საშარდე ბუშტის ანთება, რევმატიზმი ან ფაღარათი. შარდს აქვს უსიამო სუნი. ენას ვერ ატრიალებს. ლაპრაკისას ეს სიმპტომები მწვავედება. ნესტიან ამინდში გაცივება იწვევს ავადმყოფურ დებინებას ან ფაღარათს.

Ferrum phosphoricum – ფერუმ ფოსფორიკუმ (რკინის ფოსფატი)

ნაჩვენებია იმ დამიანებისათვის, რომელთაც მოღუნება არ შეუძლიათ. ესაა მინერალური ცხელების საწინაამდგომო საშუალება. იხმარება ანთებისას,

რომელიც მიმდინარეობს მუქი სიწითლით, ე.ი. სისხლის შეგუბებით. იხმარება სისხლდენის საწინააღმდეგოდ. იხმარება მხრის რევმატიზმის დროს, განსაკუთრებით მარჯვენა მხარეს მიმდინარე დაზიანებისას. პულსი სავსეა, რბილი. თვითშეგრძნება უარესდება გადახურების შემდეგ, ცივი ღუშისა და მოძრაობის შემდეგ. სისხლდენა მკვეთრი აღისფერი სისხლით, რომელიც დედება კოლოიდისმაგვარ მასად. ღებინება საკვების ნაწილაკებით. კანი სწრაფად წითლდება და სწრაფადვე ფითრდება.

Gelsemium – გელზემიუმ (ქასმინი)

ავადმყოფს აქვს ძლიერი დაღლილობის და მოთენთვის შეგრძნება. კუნთთა ატონია. ამბლა, თავბრუსხვევა. კარგი საშუალებაა კიდურების კანკალის დროს. კარგი საშუალებაა გრიპის დროს. ზედა ქუთუთოები დამძიმებულია, თვალები – ნახევრად დახუჭული. თავის ტკივილი, რომელიც სარტყლისებურად ვრცელდება თხემიდან შუბლამდე და რომლის ინტენსივობაც მცირდება მოშარდვის შემდეგ. ავადმყოფს ეჩვენება, რომ გული უჩერდება. გამოიყენება Kal. Phosp. – თან ერთად დიფტერიის შემდგომი დამბლის სამკურნალოდ. კარგად გვეხმარება ბავშვთა დამბლის დროს და ხელის მტევნების სპაზმის დროს.

Graphites – გრაფიტის (გრაფიტი)

ნაჩვენებია მსუქანი ქალებისათვის. ჩვენებები: ჰიპოთირეოზი, სიმსუქნე, სიზარმაცე, შეკრულობა, მსუნაგობა, ლაყბობა. არაიშვიათად აღენიშნება გამონაყარი კანზე, საიდანაც გამოიყოფა წებოვანი, თაფლისმაგვარი სითხე, შემდგომში წარმოიქმნება ფუფხები. განსაკუთრებით ყურების უკან, ანუსის ირგვლივ, სახსრების მომხრელ ზედაპირზე, თვალების ირგვლივ. ფრჩხილები მყიფეა, მენსტრუაცია სუსტი. ტონიური შეკრულობა, ქალებში – მიდრეკილება უხასიათობისაკენ, ყოყმანისაკენ. ყველაფერი ხდება შენელებულად, სიყვარულიც კი.

Hepar sulfur - ჰეპარ სულფურ

ჭირვეულობა, გაღიზიანებადობა, ბუზღუნი, სკანდალური ხასიათი. ბავშვობის ასაკში აწვალებს ძმას (დას) და სკოლის ამხანაგებს. სახის ფერი მოყვითალო, თვალების ირგვლივ – მოლურჯო წრე. ნებისმიერი ჭრილობა ჩირქდება. Hepar sulfur დაბალ დოზებში აჩქარებს დაჩირქებას, მაღალი პოტენციით (ე.ი. მინიმალური კონცენტრაციით) - აღკვეთს ან ასუსტებს მას. სიმპტომები მწვავედება შეხებით, ცივი ქარით, მშრალი ამინდით. ავადმყოფი განიცდის ტკივილს უმცირესი შეხების შემდეგ. მას აწუხებს ასთმა, მდგომარეობა უმჯობესდება ნესტიან ამინდში. მას სურს შეჭამოს რაიმე მუავე. აქვს მშრალი ხველა, განსაკუთრებით ღილით.

ერთ ავადმყოფს, სხვა ჩივილებთან ერთად ჰქონდა ხველის ძლიერი შეტევა, რომელიც წარმოიშობოდა მაშინვე, როგორც კი ავადმყოფი საბნიდან ხელებს ამოყოფდა. ვინაიდან სიცივეში მისი სიმპტომები მწვავედებოდა, მას მე მივეცი ეპარ სულფურ 12, ხველამ გაუარა მეორე დღესვე.

Hydrastis – ჰიდრასტი (ძირვეითელა)

ავადმყოფი მავნებლური ხასიათით. კარგად მოქმედებს ლორწოვან გარსზე. ლორწო არის ყვითელი ფერის, წებოვანი. ავადმყოფს აწუხებს ტკივილი მუცლის არეში, ძლიერი სისუსტე. შარდში – წებოვანი ლორწო. საშოდან გამონადენი ყვითელია, წებოვანი, მწვავე. საშვილოსნოს ყელის ეროზია. სინუსიტი, სურდო, ბრონქიტი მოხუცებულებში.

Ignatia – იგნაცია

ნაჩვენებია ადამიანებისათვის, რომელთაც აქვთ რაიმე გაუმხელელი მწუხარება დიდი ხნის განმავლობაში. აქვთ ყელზე ლუკმის დადგომის შეგრძნება, ვერ იტანენ თამბაქოს სუნს და ხმაურს. განსაკუთრებით ქალებში – ცალმხრივი თავის ტკივილი, თავში ჩაჭედვითი ლურსმნის შეგრძნება, რომელსაც თან ახლავს გულისრევა და ღებინება. ცალი ლოყის გაწითლება. ნაჩვენებია სულის გამწარების და დაბნეულობის შეგრძნების დროს. აგრეთვე ბავშვებში სწორი ნაწლავის გამოვარდნის დროს.

Ipecacuanha – იპეკაკუანა

ძირითადი საშუალებაა ღებინების დროს. სისხლდენა აღისფერი სისხლით. გულის წასვლა სისხლის დანახვისას. მსუბუქი ხიხინი, სტვენა გულმკერდის არეში. ზოგჯერ ამოხველება. ბრონქიტი გულისრევით. კაპილარული ბრონქიტი ბავშვებში. განავალი ლორწოვანია, ხშირად სისხლით. ასთმა, განსაკუთრებით პროფესიონალური. ენა თითქმის ყოველთვის სუფთაა და წითელი. ხშირად გვეხმარება ხიხინისა და ოპიუმის ბოროტად გამოყენებისას.

Iris versicolor – ირის ვერზიკოლორ (ზამბახი)

კარგი საშუალებაა მსუბუქი შაკიკის დროს. საერთოდ კარგად მოქმედებს შაკიკის დროს და თავის მარცხენამხრივი ტკივილების დროს. ნაჩვენებია აგრეთვე ყელში წვის შეგრძნების, ღებინების, გულისრევის დროს. თავის ტკივილს თან ერთვის მუავე, იშვიათად მოტკბო გემოს ღებინება.

Kalium bichromicum – კალიუმ ბიხრომიკუმ

რევმატიზმი, მონაცვლეობითი ტკივილებით კუჭში, კარგი საშუალებაა ლორწოვანი გარსისათვის. ლორწო წებოვანი, ბლანტი, მომწვანო-მოყვითალო ფერისაა, ცუდად გამოიყოფა. ღრმა „ამოტიფრული“ წყლული. მშვენიერი საშუალებაა კუჭის წყლულისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დროს. მხვლეტავი ტკივილი მკაფიო ლოკალიზაციით, რომელიც წარმოიშობა და

ქრება უეცრად. ცხვირში ფუფხები. ავადმყოფს სურს ლუდი, მაგრამ მისი დაღვეის შემდეგ კუჭში ტკივილი ძლიერდება. საშვილოსნოს ყელის ეროზია.

Kalium carbonicum - კალიუმ კარბონიკუმ

ავადმყოფს ეშინია კანზე შეხების. ყველაფრით უკმაყოფილოა. კანი მკრთალი. კონსტიტუცია ჰიდროგენულია. ჰაბიტუსი პასტოზური, მცირედ შეშუპებული. მოხეტიალე მხსველტავი ტკივილი. ოფლიანობა, ტკივილი ზურგში. ზედა ქუთუთოებზე გამოხატულია „ტომრები“, ცხვირთან ახლოს. კარგად მოქმედებს გულსა და საშვილოსნოზე. ნაჩვენებია თვითნებური აბორტის დროს. სიმპტომები მწვავედება ღამით, პირველსა და სამ საათს შორის ამ პერიოდში ავადმყოფი ჩვეულებრივ იღვიძებს. ავადმყოფი ვარდება დეპრესიაში, ადვილად აღზნებადია (იგივე ვრცელდება ყველა კალიუმის პრეპარატზე).

Kalium phosphoricum - კალიუმ ფოსფორიკუმ (კალიუმის ფოსფატი)

ავადმყოფს არ უყვარს წვეულებებში ყოფნა. ვარდება დეპრესიაში, მტირალაა, ნევროზული. მეხსიერების დაქვეითება. მძიმე დაავადებათა შედეგები. ღია სივრცის შიში. საერთოდ შიშის შეგრძნება, ნერვული სისტემის ფუნქციონირების დარღვევა. საერთო სისუსტე. (ნებისმიერი კალიუმის მარილი). სამუშაო, რომელიც საჭიროა შესრულდეს ერთი დღის განმავლობაში, ავადმყოფს უზარმაზარ ტვირთად ეჩვენება. ძირითადი საშუალებაა ნევროტიკებისათვის.

Kreosotum – კრეოზოტუმ (ტყის წიფელი)

მარაზმული შესახედაობა. სისუსტე, სიგამხდრე. გამონაყოფები სუნიანი, მწვავე, ზოგჯერ სისხლნარევი. ღრძილები დაავადებულია. შარდი გამოიყოფა მხოლოდ მწოლიარე მდგომარეობაში. სიმპტომები მწვავედება სიცივესა და სიმშვიდეში. კარგად აწყნარებს ძლიერ ტკივილებს კუჭის სიმსივნის დროს. კარგი საშუალებაა საშოდან სუნიანი, სისხლიანი გამონადენის დროს. ამ დროს ხშირად ზიანდება კანი. გვეხმარება აგრეთვე ცერის ართროზული დეფორმაციის დროს.

Lachesis – ლახეზის (გველი კუფია)

შესანიშნავი საშუალებაა განსაკუთრებით მაშინ, თუ მკაფიოდაა გამოხატული ძირითადი სიმპტომები. ავადმყოფი იძინებს, და მისი მდგომარეობა უარესდება. მოქმედებს მხოლოდ სხეულის მარცხენა ნაწილზე. იგი ლაქლაქაა, აზროვნებს ხმამაღლა. ვერ იტანს ყელზე ზეწოლას. ნესტიან თბილ ამინდში სიმპტომები მწვავედება. მზეზე თავის ტკივილი ძლიერდება. ჰიპერემია გარდატეხის ასაკში. სეპტიური დაავადებები. გამონაყოფს აქვს ლპობითი სუნი. ნაჩვენებია ემბოლიის დროს. რეკომენდირებულია მიეცეს ვარიკოზით დაავადებულ პაციენტებს ოპერაციის წინ, რათა თავიდან ავიცილოთ ემბოლია. ტკივილი ყელის არეში, კისერში მარცხენა მხარეს.

Sepia – სთან ერთად ძირითადი საშუალებაა გარდატეხის ასაკში, კლიმაქტერული ეჭვიანობისას და ა.შ.

ერთხელ, ვმკურნალობდი 80 წლის მოხუცს, რომელსაც ყოველ ნახევარ საათში ეწეებოდა მსუბუქი ემბოლია. Lachesis 30 ხუთი ბურთულის მიღების შემდეგ, ყოველ საათს უმჯობესდებოდა მისი მდგომარეობა.

Lilium tigrinum – ლილიუმ ტიგრინუმ (ვეფხვის შროშანი)

Pulsatilla –ს ტიპის ადამიანების ერთი წყება. სექსუალურად ორიენტირებული ქცევა. „დაწვეის“ შეგრძნება. ავადმყოფს ეჩვენება, რომ საშიფლოსნო სადაცაა ჩამოვარდება საშოდან (Sepia). გამონაყოფი თხევადია, მწვავე. ტკივილი გულის რეში -- ზეწოლის, სიმძიმის ჩხვლეტის შეგრძნება. გულზე ჩივილის შერწყმა „დაწვეის“ შეგრძნება (ნახეთ Cimicifuga – რევმატიზმსა და საშიფლოსნოზე ჩივილის შერწყმა). თვითშეგრძნების გაუმჯობესება სუფთა ჰაერზე. გაუარესება ღამით და სითბოში.

Lycopodium – ლიკოპოდიუმი

ჩივილი ღვიძლის გამო, სიმძიმის შეგრძნება ჭამის შემდეგ. ტყუილი ჭინთვები. შარდში მოწითალო ნალექი. ავადმყოფს არ სწამს საკუთარი ძალების. ერცხვინება ლაპარაკი. (Gelsemium, Strophanth.). თვლის რომ ყველაფერში მართალია. ერთი ფეხი (ჩვეულებრივ მარჯვენა) ცივია, მეორე -- თბილი. მომატებული მუავიანობა.

Lycopodium- ი კარგად ესმარება იმ ადამიანებს, რომელთაც აქვთ ჩივილი მეტეორიზმის გამო, ხოლო აირებიუსუნია. მუდმივად განიცდიან შიმშილის გრძნობას. სახე მოყვითალოა, გამხდარი, დანაოჭებული. განწყობილება მელანქოლიური, დართუნული. განსაკუთრებით კარგად მოქმედებს გამჭრიახი გონების და სუსტი კუნთების ადამიანებზე, ბავშვებსა და მოხუცებულებზე. მდგომარეობის გაუარესება 16-20სთ-მდე. გადაძაბვისას, სითბოში, კომბოსტოსა და ცერცვის ჭამის შემდეგ. აგრეთვე შემოტმასნილი კაბის ჩაცმისას, გადამეტებული კვებისას და ცივი საკვების მიღების დროს. მდგომარეობის გაუმჯობესება მოშარდვისას, თბილი სასმელების დაღვევისას.

Magnesium carbonicum – მაგნეზიუმ კარბონიკუმ

ძირითადი საშუალებაა კატარაქტისა და პროსტატის გადიდებისას. ნაჩვენებია მოუსვენარი, გონებრივად და ფიზიკურად ჩამორჩენილი ბავშვებისათვის. მუდმივი შემცივნება. ავადმყოფი ფეთქებადია, აგრესიული, ძალიან აქტიური, მაგრავ მხდალი. იოლად ვარდება დეპრესიაში. ფადართი მომწვანო ფერის, ხშირად ქაფით და უსიამო სუნით. გულისრევის შეგრძნება დილით. მარჯვენა გვერდზე წოლისას, ტკივილი ღვიძლის არეში (იხ. Mercur.).

სიმპტომები მწვავედ სიცივეში, ცხიმოვანი საკვების მიღებისას (აგრეთვე Pulsatilla და Carbo vegetabilis). თვითშეგრძნების გაუმჯობესება წინ და უკანსიარულის დროს. ჩივილები ახლდება ყოველ სამ კვირაში.

Magnesium phosphoricum – მაგნეზიუმ ფოსფორიკუმ

კარგად გვეხმარება ნებისმიერი ტკივილისას, განსაკუთრებით კრუნჩხვითი ტკივილების დროს. კოლიკა ქვებით გამოწვეული. ხელის მტევნების სპაზმი (წერის დროს). მენსტრუალური კოლიკა. ნაჩვენებია პატარა ბავშვებში მეტეორიზმისა და კოლიკის დროს (Chamomilla, Colocynthis). განწყობა უმჯობესდება სითბოში და ზეწოლის შემდეგ.

Mercurius solubilis – მერკურიუს სოლუბილის (ვერცხლისწყლის ნაერთი)

ავადმყოფი დეპრესიაშია, თავს დაღლილად გრძნობს. ძირითადი საშუალებაა ყბაყურის დროს. ტიპი: ქერა, ლიმფატიკური. განსაკუთრებით კარგად მოქმედებს პირის ღრუსა და ჯირკვლებზე. ღრძილები შეშუპებულია, ფაშარი მსუბუქად სისხლმდენი. ენა შესიებული, მასზე ჩანს კბილების ნაჭდევები, რაც განპირობებულია საჭმლის მონელების დარღვევის გამო. პირიდან უსიამოვნო სუნი. ძლიერი ნერწყვდენა. პირის ღრუში ლითონის გემო, სპილენძისმაგვარი (თუ შეიგრძნობა თითბერისმაგვარი გემო, საჭიროა მივიღოთ Iris). ძლიერი ოფლიანობა ღამით, რომელსაც შვება არ მოაქვს. ოფლი ცხიმოვანია, მოყვითალო, ცუდი სუნის. სიმპტომების გამწვავება ღამით, განსაკუთრებით ღოგინის სითბოსა და მარჯვენა გვერდზე წოლისას. ფაღარათი ხშირი ჭინთვით. განავალი თხიერია, სისხლით და უხვი ღორწოთი.

Mercurius არ შეიძლება მივიღოთ Silicea – სთან ერთად. სხვა ვერცხლისწყლის პრეპარატებს ახასიათებთ მსგავსი მოქმედება. მაგრამ არის განსხვავებაც. მაგ.: Merc.jod. უნდა მივიღოთ შუა ყურის ანთების დროს, ხოლო Merc. sulf. (cinnabaris)-შუბლის წიაღის დაჩირქების დროს. Merc. cianatus ინიშნება დიფტერიის დროს.

Moshus – მოშუს

გულის წასვლა. მიდრეკილება გულის წასვლისადმი. მომატებული სექსუალური აღზნებადობა. დაუკმაყოფილებლობა. უხვი მენსტრუაცია. სპაზმური სიცილი და ტირილი. ბავშვებში სახმო იოგების სპაზმი (იხ.Spongia).

Natrium muriaticum - ნატრიუმ მურიაციკუმ (სუფრის მარილი)

შესანიშნავი მაგალითია ალოპათიური სავლეს ჰომეოპათიურ პავლედ გარდაქმნისა. პირის ღრუში სიმშრალის შეგრძნება. ავადმყოფი უქეიფოდაა, ნებისმიერი დაწყნარება მას კიდევ უფრო მეტად თრგუშავს. მომავლის შიში. ავადმყოფს უნდა მარილი. ძლიერი წყურვილი. პურისადმი ზიზღი. გამოხატული სიგამხდრე, განსაკუთრებით კისრის და მკერდის, კარგი მადის მიუხედავად.

გამონადენი ღია ფერისაა, გამჭვირვალე. საშოდან გამონადენი მწვავეა, ტოვებს კანის დაზიანებას. ავადმყოფს არ შეუძლია სხვისი თანდასწრებით მოშარდვა. აქვს შეკრულობა მყარი, მშრალი განაავალით. ტკივილი ზურგში, რომელიც სუსტდება, თუ ავადმყოფი მიეყრდნობა მაგარ საგანს. თმისა და კანის საზღვარზე გამონაყარი. თმის ცვენა. ზიზღი გონებრივი შრომისადმი. განწყობა უარესდება 9 - 11 სთ-მდე. ოფლის გამოყოფას მოაქვს შეება.

Natrium sulfuricum - ნატრიუმ სულფურიკუმ
(ნატრიუმ სულფატი)

ზემოქმედებს ორგანიზმში წყლის ცვლაზე. ავადმყოფის თვითშეგრძნება უარესდება ტენიან ამინდში, საერთოდ ნესტისგან. კარგი საშუალებაა ღვიძლისათვის. პირში მომწარო გემო. ტკივილი, რომელიც მოიცავს მკერდის მარცხენა ნაწილს. ფაღარათი ღვიძლში ტკივილით, რომელიც ძლიერდება ნესტიან ამინდში. თვითშეგრძნების გაუმჯობესება თბილ, მშრალ ამინდში. თვითშეგრძნების გაუმჯობესება თბილ, მშრალ ამინდში. კარგი საშუალებაა ასთმის სამკურნალოდ ბავშვებში. ორსულთა ღებინება (Sepia). შარდმჯავა დიათეზი.

Nux moshata – ნუქს მოშატა (ჯავზი)

ავადმყოფი საშინლად უხასიათოდაა, დაღლილობის გამო თითის განძრევაც კი უძნელდება. პირის სიმშრალე. წყურვილის შეგრძნება არა აქვს. შაკვების მიღების შემდეგ მუცელი ებერება. ავადმყოფს აწუხებს აირები, ბოყინი. ცივ ნესტიან ამინდში გუნება გამოუკეთდება, ავადმყოფს უჩნდება ძილის მოთხოვნილება, შეიძლება წაუვიდეს გული.

Nux vomica– ნუქს ვომიკა (ქუნულა)

გონებრივი შრომისადმი ზიზღი. ის. თავი „კონსტიტუციური საშუალებანი“. განწყობილება ძალიან გაღიზიანებული. ესაა დათრგუნული მოხელე, მჯდომარე ცხოვრების წესის მქონე, რომელიც დაღლილია გაღვიძებისთანავე. საკვების მიღების შემდეგ ტკივილი მუცლის არეში, რომელიც ვრცელდება ყველა მიმართულებით. შეკრულობა ტყუილი ჭინთვებით. ავადმყოფი ეტანება ალკოჰოლს, ყავას, თამბაქოს (განსაკუთრებით ნაბახუსევს), თუმცა ეს ნივთიერებანი მასზე ცუდად მოქმედებენ. ჰემოროი. ჩვილ ბავშვებში პილოროსტენოზი. ინიშნება ნარკოტიკული ნივთიერებების და ალოპათიური მედიკამენტების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, როგორც ანტიდოტი. ავადმყოფის გუნება-განწყობა უარესდება დილაობით და საკვების მიღების

შემდეგ. განწყობილება უმჯობესდება ბოყინის შემდეგ, სიმშვიდეში და შენობაში.

hosphorus – ფოსფორი

ტიპი: მაღალი, გამხდარი ადამიანები, რომელთაც უყვართ მსჯელობა მაღალ მატერიაზე. ზუსტად ასეთ ადამიანებს უწოდა პროფ. **Stiegele** – მ „ნევრასთენიკები“. მათ არა აქვთ ძალა, რათა მშვიდად იდგნენ ან დასხდნენ. მუდმივად აქვთ ჭამის სურვილი, განსაკუთრებით ღამით. მათ უხურთ ზურგი ბეჭებს შორის, უხურთ ხელები, საერთოდ ყველაფერი. მათ ეშინიათ მარტოობის და სიბნელის. მომატებული სქესობრივი ლტოლვა, რომელსაც თან ახლავს სქესობრივი სისუსტე. ოფლიანობა დაძინებისას. პატარა ჭრილობები ძლიერ სისხლდმდენია. ღრძილები სისხლდმდენია. ფალარათი გახანგრძლივებული, მაგრამ უმტკივნეულო. ნაჩვენებია ხერხემლის გამრუდების დროსაც. ავადმყოფის განწყობა უარესდება, როდესაც მარცხენა გვერდზე წევს. გაუმჯობესება სიბნელესა და სითბოში. ზიზღი ანადუღარი რძისადმი. სასარგებლო საშუალებაა ბავშვებში სიყვითლის დროს.

Platinum metallicum - პლატინუმ მეტალიკუმ

საუკეთესო საშუალებაა მაღალი ჩინის ხელმძღვანელის პირადი მდივნებისათვის. ეგოიზმი, ქედმაღლობა, თავის თავზე დიდი წარმოდგენა. დაუოკებელი ლტოლვა, გამოსატული როგორც კაცებში, ასევე ქალებში. სასქესო ორგანოების ქავილი, უხვი მენსტრუალური გამონადენი. ზოგჯერ უჩნდებათ საკუთარი შვილის მოკვლის სურვილი. (ამ საშუალებას წარმატებით აძლევენ დედა – ღორებს, რათა არ შეჭამონ საკუთარი გოჭები). სასქესო ორგანოებთან შეხება იწვევს მათ კრუნჩხვით შეკუმშვას. ყველა საგანი ავადმყოფს პატარა ეჩვენება, ვიდრე ისინი არიან სინამდვილეში.

ჩემთან მოვიდა 35 წლის ქერა ქალი. თავი დედოფალივით ეჭირა, უჩიოდა საშოს ქავილს და უხვ გამონადენს. მკურნალობის დაწყებიდან ნახევარი წლის შემდეგ ისევ მოვიდა მიღებაზე, მხოლოდ სხვა მიზეზით. მენსტრუაცია უკვე ნორმალურად მიმდინარეობდა, ქავილმა დიდი ხანია გაუარა, და საერთოდ, თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა. არც ქედმაღლურად საუბრობდა. თავიდან მას დაუხინიშნე მკურნალობა ლატინა 30 5 წვეთი დღეგამოშვებით. მიღების წინ საჭირო იყო შენჯღრევა.

Plumbum – პლუმბუმ (ტყვია)

გარკვეული ჯგუფის კუნთების ატროფია. სისხლძარღვოვანი სპაზმები. სპასტიური კოლიტი. დამბლა. მუცელი შევარდნილი, - ან ავადმყოფს ეჩვენება, რომ თოკებით შეუწიეს. საერთოდ შეკრულობა. თირკმლების ანთება, შეჭმუხნული თირკმელი, მომატებული სისხლის წნევა სახის სიფერმკრთალის ფონზე. არტერიოსკლეროზი. ტკივილი ჭიპის მარჯვნივ.

ერთხელ, ვმკურნალობდი ერთ უცხოელს ამ უკანასკნელით შეწუხებულს. ის რამდენიმე თვის განმავლობაში დადიოდა ექიმებთან ჩივილით, რომ ტკიოდა ჭიპის მარჯვნივ. გამოვუწერე

Plumbum 15 მხოლოდ ერთი მიღება, და მისი ყველა ჩივილი გაქრა.

Pulsatilla – პულსატილა

სიცივის მოყვარულია, სითბოში ცუდად ხდება. ჩვეულებრივ – მტირალა, ცისფერთვალეა ქალწულია ფერმკრთალი სახით და ღია ფერის, ზოგჯერ წითური თმებით. ძალიან ქალურია, დამთმობი, გულკეთილი. სიმპტომები ცვალებადი. მიდრეკილება კატარისადმი. ყველგან აგვიანებს, მათ შორის პაემანზეც. მენსტრუაციაც კი შეფერხებით აქვს. გამონაყოფი აქვს სქელი, რბილი. სურდოს დროს ცხვირიდან გამონადენი თხიერია, საშოდან გამონაყოფიც ასევე. ხილის ჭამას მოყვება ფაღარათი - ღვიძლში ჩხვლეტის შეგრძნება. მტკივნეული ვარიკოზული ვენები. ნაჩვენებია მოყინვის დროს. ფეხების დასველება იწვევს მენსტრუაციის შესუსტებას, საერთოდ მენსტრუაცია სუსტია, ავადმყოფური, შეფერხებითი. ყნოსვის და გემოვნების დაქვეითება. გოგონებში ღამით შარდის შეუკავებლობა. გემოვნების დაქვეითება. გოგონებში ღამით შარდის შეუკავებლობა. კარგად მოქმედებს კუჭზე, განსაკუთრებით ცხიმოვანი საკვების მიღების შემდგომი ტკივილის დროს. ცხიმისადმი ზიზღი. ავადმყოფი ხშირად ტირის, განსაკუთრებით დღესასწაულებზე და გამგზავრებისას. განწყობა უარესდება სითბოში, თბილ შენობაში, ცხიმოვანი საკვების მიღების შემდეგ. საერთოდ სიცივისაგან და ქუნაში. მშვენიერი საშუალებაა ფეხმძიმობის დროს, იძლევა შვებას მშობიარობის დროს (*Caulophyllum* – თან ერთად). ძირითადი საშუალებაა წითელას დროს.

Psorinum – ფსორინუმ (სათანადო ნოზოდი)

უიმედობის, სასოწარკვეთის შეგრძნება. ავადმყოფს მუდმივად სცივა. ამ ტიპს მიეკუთვნებიან ქალები, რომლებიც იმის მიუხედავად, რომ აცვიათ თბილად, ზაფხულშიც კი სცივათ. უოფლიანდებათ ხელები, აქვთ კანზე გამონაყარი ძლიერი ქავილით. ავადმყოფები თავს თვლიან მძიმე და განუკურნებელ ავადმყოფად. ოფლს აქვს ძლიერ უსიამო სუნი. ნაჩვენებია აგრეთვე მძიმე ავადმყოფობის შემდგომი სისუსტის დროს (200). სიმპტომების გამწვავების წინ აღენიშნება დროებითი გაუმჯობესება. ზამთრის პერიოდში სიმპტომები მწვავედა.

Pyrogenium – პიროგენიუმ

კბილის ძვლის ანთების, დაჩირქების დროს -- 30 ერთ მიღებაზე. გამეორება საჭირო არ არის!

Rhus toxicodendron - რუს ტოქსიკოდენდრონი (შხამა -- თუთუზო)

ავადმყოფის განწყობა უარესდება სიმშვიდეში, მოძრაობის დაწყებისას, ნესტიან ამინდში. გაუმჯობესებას ადგილი აქვს მოძრაობის გაგრძელებისას, თუ წყნარი ტემპისაა, აგრეთვე სითბოში. გამონაყარი ტანზე. ბუშტუკები, ქავილი, კანის გაწითლება. ფაღარათი ლორწოთი, ზოგჯერ სისხლნარევი. ავადმყოფი მოუსვენრადია, წრიალებს საწოლში, ხელ-ფეხი უსივდება. მთელი სხეული დაჟეჟილივით აქვს. ენის წვერი წითელი აქვს. მშვენიერი საშუალებაა რევმატიზმის დროს. გაციების შედეგები, განსაკუთრებით თუ გაციება გამოწვეულია სხეულის დასველებით, ფიზიკური გადაძაბვა, სიმძიმეების აწევა.

საუკეთესო საშუალებაა შორ მანძილზე ფეხით მოსიარულეთათვის. Rhus tox-ს არ აძლევენ – პის-თან ერთად

Sanguinaria – სანგვინარია

შაკიკი – მარჯვენა თვალის ზემოთ ტკივილი. მარჯვენა ხელის რევმატიზმი, რომელიც ღამით მწვავედება. ტკივილი მკერდის მარჯვნივ. საერთოდ ეს საშუალება კარგად მოქმედებს მარჯვენა მხარეზე. ღორწოვანი მშრალი. სახე წითელი, განსაკუთრებით კლიმაქსის პერიოდში. წვა მკერდში, ხელისა და ფეხის გულებში.

Sepia – სეპია (მელანთევზი)

სითბოს მოყვარული, სიცვიის მიმართ მგრძობიარე ტიპი. ესაა ახირებული, იოლად აღზნებადი, ეგოისტი ქალი - ერთი სიტყვით, ქსანტიპა. ზიზღი ოჯახის საქმისა და ოჯახისადმი. პიპერემია კლიმაქტერულ ასაკში. შაკიკი. ფრიგიდულობა. საშო „იწვის სიცხისგან“. ციკლის დარღვევა, მენსტრუაცია საერთოდ სუსტია. ცხვირი მშრალი (აგრეთვე ატრი მურიატიცუმ). საშვილოსნოს დაწვეა. შეგრძნება, რომ ყველაფერი „ეშვება“. კანი პირის ირგვლივ და ცხვირის ფუძესთან მოყვითალო ელფერისაა. ავადმყოფი დილაობით მოთენთილი, საღამოს კი გახალისებულია. გამონადენი მძაფრია, ყვითელი. ეს კარგი საშუალებაა მრეცხავი ქალებისათვის. მდგომარეობა უმჯობესდება სითბოში და მოძრაობისას, აგრეთვე ცეკვის დროს. გაუარესება -- ცივ ჰაერზე, რეცხვის დროს, ფეხზე დგომისას, ბევრ ადამიანებს შორის.

შემთხვევა: გამომიძახა 35 წლის მომსუქრო ქალბატონმა, რომელსაც არ შეეძლო არაფრის ყიდვა, ვინაიდან ეშინოდადამიანთა თავშეყრის ადგილების. ის აღარ ზრუნავდა თავის ქმარზე, აღრც წლინახევრის გოგონა აინტერესებდა. ეს უკანასკნელი ძალზედ უსუფთოდ გამოიყურებოდა. მე მივეცი Sepia 12 დღეში ორჯერ. ორი კვირის შემდეგ ცოლ-ქმარს შევხვდი ქალაქში. მათ უკან მოჩანდა საბავშვო ეტლში სუფთად ჩაცმული ბავშვი. ორივე გასხივოსნებული იყო, - მეც აგრეთვე.

შილიცეა – სილიცეა

(მთის ბროლიდან მიღებული კაჟბადის მუავა)

ფრთხალი, მხდალი, მგრძობიარე, უმოქმედო, წარუმატებლობის შიში. მგრძობიარე სიცვიის მიმართ. სულ სცივა, იყინება, იფუთავს თავს, იოლად ცივდება. შკამი ხშირად უკან უსრიალდება. თავის ტკივილი ეწყება კეფიდან და გადმოდის წინ. ფეხის აუტანელი ოფლიანობა. თავის ოფლიანობა. ნუშისებრი ჯირკვლის დაჩირქების შემთხვევაში ამოკვეთა ყოველთვის არ არის საჭირო. ფისტულები, მათ შორის ანალური ფისტულებიც. ძვლების დაჩირქება. შუა ყურის ქრონიკული დაჩირქება. საერთოდ დაჩირქების დროს (Hep. Sulf –ის შემდგომ). ეფექტურია კელოიდების გასაწოვად (Graphit, Badiaga). გამოაქვს უცხო სხეულები, მაგალითად, ჭურვის ნამსხვრევები. მდგომარეობა უარესდება სიცვიესა და სიცხეში. უმჯობესდება სითბოში. Silicea ვერ ეთავსება Mercurius – ს.

Spongia – სპონგია ტოსტა
(დამწვარი ზღვის ღრუბელი)

ხველა მშრალია, ღრმა, თითქოსდა ხრუტუნით. აგრეთვე კრუპოზული ხველა. ძლიერდება სიმღესისა და ლაპარაკისას. ავადმყოფი შუალამისას იღვიძებს შეგრძნებით, თითქოს ახრჩობენ. კარგი საშუალებაა ჩიყვის დროს, თუ ჩიყვი იწვევს ხუთვის შეგრძნებას, და თუ ეს შეგრძნება ძილის შემდგომ არ იხსნება. სპონგია შეიცავს იოდს. სათესლის შესიება, სიმსივნე. ჯირკვლის გამკვრივება.

Stannum metallicum - სტანუმ მეტალიკუმ
(კალა)

ავადმყოფი დეპრესიით არის შეპყრობილი, არ უყვარს ხალხში ყოფნა. არ უყვარს, როცა ამშვიდებენ. სახე მკრთალი აქვს, თვალები ჩაცვენილი, სახის ნაკეთები წაწვეტებული. ძლიერად გამოხატული სხეულისა და სულის სისუსტე. ნახველი მოტკბო გემოსია. ავადმყოფი გულ-მკერდში გრძნობს სისუსტეს, ისე, რომ ძლივს ლაპარაკობს. სიმპტომები ძლიერდება ან სუსტდება თანდათანობით, აქვს შეგრძნება, რომ შეიძლება გამოვარდეს სწორი ნაწლავი ან საშო. ბრონქიტი და ართროზი ერთმანეთს ენაცვლება.

Staphysagria – სტაფისაგრია

გვეხმარება წუხილის დროს, რომელიც გამოწვეულია რაიმე უსამართლობით ან მისი შედეგებით. კბილები შავია, კარიესული. მტკივანი. ტკივილი შარდის ბუშტში შარდვისას და მის შემდგომ. სქესობრივი სისუსტე მომატებული ლტოლვის ფონზე (აგრეთვე Phosphor).

Stramonium – სტრამონიუმ (ლემა)

ძირითადი საშუალებაა ჰალუცინაციების დროს. ნაჩვენებია ბავშვებისათვის, რომელთაც ახასიათებთ ღამით წამოყვირება. ენაბლუობა. ბოდვა ყვირილით, სიმღერით, ღანძლით, სიცილით. რელიგიური მანია. გადაჭარბებული ლაქლაქი. წყლის და საერთოდ, ყველაფერი თხევადის შიში. სიბნელის შიში. ერთ ბავშვს, რომელიც ყვირილით იღვიძებდა ყოველ ღამით, მე დაუნიშნე სტრამონიუმ 30 4 ბურთულა, ღამით მისაღებად სამი – ოთხი დღის განმავლობაში. ორი კვირის შემდგომ მოვიდა შემფოთებული დედა და თქვა, რომ ბავშვი აღარ ყვირის ღამით, მაგრამ ამჟამად ლაპარაკობს ენის ბორძიკით. მე მას ვუთხარი, რომ წამალს აძლეოდა ხანგრძლივად, რამაც გამოიწვია ენაბლუობა. ბავშვს შეუწყდა წამლის მიღება და ენაბლუობამ გაუარა სამი კვირის შემდეგ.

Sulfur – სულფურ (გოგირდი)

კანის ქავილი და წვა. ოქავება იწვევს ქავილის შემსუბუქებას და იწვევს წვას. შიცხის შეგრძნება. ავადმყოფს აქვს „წვის“ შეგრძნება ტერფებში, ამიტომ ყოფს მას საბნიდან გარეთ. ავადმყოფს ძინავს გორგალივით მოკუნტულს. გამოიყენება როგორც სათადარიგო საშუალება, როდესაც შესაფერისი (იდეით) საშუალება არ გვეხმარება. განწყობილება უარესდება ღამით, თბილ

საწოლში და ხანგრძლივი გდომისას. მდგომარეობა უარესდება აგრეთვე ბანაობისას. გაუმჯობესება წინ და უკან ნელი სიარულისას.

Tabacum – ტაბაკუმ (თამბაქო)

თავის ტკივილი ღებინებით. კიდურების კანკალი, თავბრუსხვევა. ცივი ოფლი (*Varatrum album*). გულისცემის შეგრძნება. ღებინება ყურებში ხმაურით და თავბრუსხვევით. მდგომარეობის გაუმჯობესება სუფთა ჰაერზე. ესაა სურათი, რომელიც წააგავს პირველად მოწეული სიგარეტით მოწამვლას. გამოცდილი საშუალებაა გულის ასაკობრივი ცვლილებების დროს, გულის არეში მოჭერითი ხასიათის ტკივილების დროს.

Tartarus stibiatus - ტარტარუს სტიბიატუს (იგივე **Tartarus emeticus, Antimonium tartaricum)**

ბრონქიტი ლორწოს უხვი გამოყოფით და ხიხინით, განსაკუთრებით თუ ლორწოს მოცილება გაძნელებულია. ენაზე სქელი ნადები. გულისრევა, სუნთქვისას ჩხვლეტის შეგრძნება. ოფლიანობა. არიუმ ცარბ – თან ერთად არცთუ იშვიათად უნარჩუნებს სიცოცხლეს იმ ბავშვებს და მოხუცებს, რომლებიც იხრჩობიან ლორწოს გამოყოფით. ძირითადი საშუალებაა ჩირქოვანი გამონაყარის და ჩუტყვავილას დროს.

Thuja – ტუია

ტიპი: მსუქანი პაციენტი კანზე გამონაყარით, განსაკუთრებით სამოსით დაფარულ ადგილებზე, მუსიკა ხდის სენტიმენტალურ პიროვნებად. თავის თავს თვლის მინასავით მყიფედ. მეჭეჭები, პოლიპები, კონდილომები. ინიშნება ყვავილით აცრის შემდეგ (რომ არ მოყვებს ნეგატიური რეაქცია). ოფლიანობა ღამით სხეულის სამოსით დაუფარავი ნაწილის. ოფლის გამოყოფას მოაქვს შვება (განსხვავებით ერცურ-ის ტიპის ავადმყოფებისაგან). სხეული გამოსცემს უსიამოვნო სუნს. კანი ცხიმიანია, ავადმყოფს ეჩვენება, რომ სხეულის შიგნით რაღაც მოძრაობს, დაცოცავს. ფრჩხილები მტვრევალია. ღამით თავის ტკივილი. სასქესო ორგანოების ოფლიანობა. განწყობილება უარესდება საღამოს და ღამით, აგრეთვე ნესტიან, ცივ ამინდში.

Terebentina – ტერებენტინა (სკიპიდარი)

შარდის შეკავება. მოშარდვის განუწყვეტელი სურვილი, შარდი სისხლნარევი. საუკეთესო საშუალებაა ნევრიტის დროს. ენიშნება მოხუც მამაკაცებს, რომელთაც აწუხებთ წინამდებარე ჯირკვლის გადიდება, *Sabal serrulata* და *Magnesium* –თან ერთად.

Veratrum album - ვერატრუმ ალბუმ
(თეთრი შხამა)

ნაჩვენებია სექსუალური და რელიგიური ხასიათის მანიაკალური მდგომარეობის დროს, ფსიქიური დარღვევებისას და ამენორეის დროს. ავადმყოფს აქვს სურვილი დახიოს ტანსაცმელი, ავადმყოფს აქვს უიმედობის შეგრძნება. კანი ცივი, მოლურჯო, შუბლზე – ცივი ოფლი. ძლიერი სისუსტე. კოლაფსი. ქალებში – გულის წასვლა მენსტრუაციის დაწყების წინ. კუჭის აშლა. წვივების კრუნხვითი შეკუმშვები. სიმპტომები მწვავედება ცივი საკვებისა და სასმელისაგან, ნესტიან, ცივ ამინდში და ლოგინში გათბობის შემდეგ.

1950 წლის შემოდგომით გამოშიდახეს ჩემს ერთ 76 წლის ავადმყოფთან, რომელსაც 12 საათის შემდეგ ჰქონდა ძლიერი ფაღარათი, კუჭის მოქმედებებს შორის ინტერვალი არ აღემატებოდა რამდენიმე წუთს. იმდენად შეცვლილი იყო, რომ ძლივს ვიცანი. ცხვირი, ხელები ჰქონდა ცივი, ხმა სუსტი. მასთან მყოფმა მედდამ აღნიშნა, რომ მას შუბლზე ასხამდა ცივი ოფლი. მე მას მივეცი ერთი მიღება **Veratrum album D6**. ათი წუთის შემდეგ პაციენტი პირდაპირ გამოცოცხლდა, როდესაც მეორეჯერ მოვინახულე, ის უკვე ბოსტანში მუშაობდა.

Vipera berus - ვიპერა ბერუს (გველი)

ნაჩვენებია ემბოლიის, ვენების ვარიკოზული გაგანიერების დროს. ავადმყოფს აქვს შეგრძნება, თითქოს მისი ვენები სადაცაა გასკდება. შესანიშნავი საშუალებაა ქრონიკული ფლემბიტის დროს.

Zincum metallicum – ცინკუმ მეტალიკუმ

ალქიმიკოსები მას უწოდებენ „მინერალურ ოპიუმს“. ნაჩვენებია ნერვული სისუსტის დროს. კანკალი კიდურებში, ძლიერი მოუსვენრობა ფეხებში. უძილობა. ბავშვი კრთება ძილში ან თავს მოუსვენრად ატრიალებს აქეთ-იქით. ღვინო მხოლოდ აუარესებს მდგომარეობას.

1950 წელს გრიპის დამარცხება შესაძლებელი გახდა ძნ 30 დოზით ორ-სამჯერ მიღების შემდეგ. ძნ-ის გამოყენების იდეა გამოჩნდა მას შემდეგ, რაც რამდენიმე პაციენტმა დაიჩივლა, რომ ვერაფრით ვერ აჩერებენ საწოლში ფეხის კუნთების კრთომას.

ჰომეოპათია სხვადასხვა შემთხვევისათვის

მოცემულ თავში გადმოცემული რჩევები არ უნდა გავიგოთ სიტყვა-სიტყვით. მაგალითად: თუ ბავშვს ატკივდა ყელი, დედამ მას მასინვე უნდა მისცეს ყველა წამალი, რომელიც ჩამოთვლილია პუნქტში „ყელი“. ეს ჩამონათვალი უნდა გავიგოთ შემდეგნაირად: თუ გვტკივა ყელი, პირველ რიგში უნდა წავიკითხოთ ყურადღებით, თუ რა არის დაწერილი აპისის, ბელადონას და მერკურიუს სოლუბილისის შესახებ და მათგან შეირჩეს ამ შემთხვევისათვის შესაფერისი.

ნუ გამოიყენებთ ყველაფერს, რაც შესაძლებელია და ნუ გადადებთ ექიმთან ვიზიტს!

ქვემოთ შემოთავაზებული განსაკუთრებით გავრცელებული ჩივილების ჩამონათვალი და ჰომეოპათიური საშუალებების რეკომენდირება ძურფესვიანად ეწინააღმდეგება ჰომეოპათიის ძირითად პრინციპებს იმიტომ, რომ წამლები საერთოდ უნდა დაინიშნოს ყველა სიმპტომის გათვალისწინებით, აქ კი წამლები რეკომენდირებულია მხოლოდ ერთი — ერთადერთი პრინციპით ან კიდევ უბრალოდ ავადმყოფობის დასახელებით. თუ მე მაინც გადავწყვიტე შემექმნა ასეთი სია, მხოლოდ ზემოთ მოყვანილი გაფრთხილებების გათვალისწინებით, და კიდევ იმად, რომ პირველი დახმარების გასაწევად საჭიროა უბრალო და მარტივი რჩევები.

აირები: Carbo veg., Lycopodium.

ატროფია კუნთების: Plumb.

გამოყვლა ბავშვებში: Sulfur.

გაციება ყოველი თმის შეჭრის შემდეგ: Belladonna.

გაციება მშრალი ცივი ქარისაგან: Aconit, Caustic.

გაციება ნესტიან ამნდში: Rhus tox.

დამბლა: Caustic., Gelsemium, Arg. nitr.

დამბლა ენის: Dulcam., Caust.

დაჟეჟილობა: Arnica.

დიფტერია: Merc.cyan., Acid. nitr.

დიფტერიის აცრაზე რეაქცია: Apis.

დაჭიმვა: Rhus tox.

პირის ღრუს ლორწოვანის ეროზია: Acid. nitr., Borax, Hep. sulf.

ექვიანობა: Apis, Ignatia, Hyoscyamus.

ვენების ანთება: Lachesis, Carbo veg., Calc. fluor, Vipera.

ზღვის ავადმყოფობა: Cocculus, Petroleum.

თავბრუსხვევა: Cocculus.

თირკმლების ანთება: Terebenth., Apis, Merc. corr.

ისტერიული ტირილი: Ignatia, Moschus.

იშიაზი: Rhus tox., Gnaphalium, Colocynt.

კანზე გამონაყარი: Sulf., Graphit., Rhus tox., Ars. alb.

კისტა სათესლის: Apis., Jodum.

კუჭის ტკივილი ცივი სასმელის მიღების შემდეგ: Ars. alb.

მენსტრუაციული ციკლის დარღვევა: Pulsatilla, Aristolochia, Nux moschata.

მეჭკეკები: Thuja, Causticum, Acidum nitricum.

მორცხვობა, გაუბედაობა: Ambra grisea, Arg. nitr.

მოუსვენრობა: Aconitum, Ars. alb.

მუცლის ტკივილი ცხიმიანი საკვების მიღების შემდეგ: Pulsatilla.
 მუცლის ტკივილი: Colocynt., Nux vom., Pulsatilla.
 მშობიარობა: Pulsatilla, Caulophyllum (mSobiarobamde).
 მწერის ნაკბენი: Ledum, Apis.
 ნაბახუსევის სინდრომი: Nux vom.
 ნახეთქები ანუსზე: Acidum nitr., Graph., Alum.
 ოფლიანობა თავის: Calc. carb., Silicea.
 რადიკულიტი: Rhus tox., Bry., Acid.form.
 რეაქცია ყვავილით აცრაზე: Acidum nitr., Thuja.
 რეგმატიზმი სახსროვანი: Acid benz., Bryonia.
 რქოვანას გამკვრივება: Ant.crudum.
 საშვილოსნოს დაწვევა: Sepia, Liliun tigr.
 სისხლდენა ცხვირიდან: Natr.mur., Hamamelis, Arnica.
 სისხლდენა ღრძილებიდან: Phosphor, Kreosot.
 სისხლნაუღენტები: Arnica.
 სლოკინი: Nux vom., Acid. sulf.
 სიმსივნე: Thuja.
 სპაზმური სიცილი: Moschus.
 ტემპერატურა: ცონიტ., შემდეგ ელლადონნა, შემდეგ Ferrum phosph.
 უძილობა: Zincum val (D4), Coffea, Formica rufa.
 ფაღარათი: Ars. alb., Aethiops. Antim., Ipecac.?????
 ფეხების ოფლიანობა: Silicea.
 ფისტულა: Silicea.
 ქუნთრუშა: Belladonna.
 ღებინება: Ipecac.
 ყელის ტკივილი: Apis, Belladonna, Merc.sol.
 ყივანახველა: Drosera, Coccus cacti, Pertussin D200.
 შარდის ბუშტი - ანთება: Cantharis, Dulcamara.
 შარდის ბუშტი - სისუსტე: Causticum.
 შიში: Aconitum, Ars.alb., Kal.phosph.
 ჩიყვი: Silicea, Spongia, Lapis alb., Hedera helix.
 ჩუტყვავილა: Tart.stib.
 ჩხვლეტა გვერდში: Ferrum phosph, Bryonia.
 ძილი, რომელიც აუარესებს განწყობას: Lachesis.
 წითელა: Pulsatilla.
 წამოქაფვა: Nux vom.
 ჯიბლიბო: Staphysagria, Pulsatilla, Platina.?
 ჰემოროი: Nux vom., Sulf., Aesculus, Paeonia.
 ჰიპერემია: Sepia, Lachesis, Pulsatilla.